№ 52

ოთხშაბათი, 13 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 52

ოთხშაბათი, 13 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჰ. ჩიძოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის.

ყველამ იცის, რომ თითოეულ წლის დამდეგისათვის სიმინისტრო ადგენს სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვას, რომელშიაც ნაჩვენებია, როგორც მოსალოდნელი ხარჯები, ისე შემოსავალიც ხაზინისა. წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი განაწილებულია იმპერიის ყველა გუბერნიებზე და ამგვარად ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებია შემოსავალი და ხარჯებიც, რომელიც სახელმწიფოს თითოეულ გუბერნიას უწევს. ეს ხარჯთ-აღრიცხვა წლის ბოლოს იბეჭდება „სახელმწიფოს კონტროლის ანგარიშებში“, რომელშიაც აღინიშნება ხოლმე ისიც, თუ ნამდვილად რა შემოსავალი მიუცია ხაზინისათვის თითოეულ გუბერნიას და რა ხარჯები მონდომებია მის მართვა-გამგეობას. ჩვენ ვსარგებლობთ იმ ციფრებით, რომელიც ამ „ანგარიშებში“ არის მოქცეული და ერთად-ერთი ოფიციალური საბუთია ჩვენგან აღძრულ საკითხის გასარკვევად.

თუმცა ხსენებულ „ანგარიშებში“ მასალა სავსებით არის მოქცეული, მაგრამ დანაწილება ამ მასალისა თითოეულ გუბერნიაზე და, მაშასადამე, კერძოდ კავკასიაზე, არ არის ისეთის სისწორით მოხდენილი, რომ იმის საფუძველით უტყუარ აზრის შედგენა შეიძლებოდეს შემოსავალ გასავლის მხრით ამა თუ იმ გუბერნიისა ან კუთხის შესახებ. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯიც იმ გუბერნიას არ აწერია, რომელსაც ნამდვილად ეკუთვნის. საზღვრის პირად, მაგალითად, სახელმწიფოს შედარებით დიდი ჯარი უყენია და ამიტომ საზღვართან ახლო მდებარე გუბერნიას სამხედრო ხარჯებიც მეტი აქვს შეწერილი, ვიდრე ეკუთვნის ნამდვილად. სადამოჟნო გადასახადსაც ხაზინა იქ იღებს, სადაც დამოჟნა არის გამართული და ეს შემოსავალიც იმ გუბერნიიდან შემოსულად იწერება, სადაც საზღვარ-გარეთის საქონელი, მოუტანიათ და ბაჟი გადაუხდიათ. მაგრამ ეს საქონელი ყველა იქ არ იყიდება, სადაც ბაჟია გადახდილი,—დიდი ნაწილი სხვა ადგილებში მიაქვთ და იქაური მყიდველი, ამ ნაწარმოების შეძენის დროს, საქონლის ნამდვილ ფასსაც იხდის და ამ ფასზე მითვლილ ბაჟსაც. ამ სახით ამა თუ იმ სადამოჟნო ბაჟის ნამდვილი გადამხდელი, შეიძლება, ციმბირის რომელიმე გუბერნია იყოს, ხოლო ხაზინისთვის ბაჟით შემოსავლის მიმცემად „ანგარიშში“ ვარშავის გუბერნია ინიშნებოდეს. ამ საფუძლით შეიძლება ისიც წარმოვიდგინოთ, რომ „სახელმწიფო კონტროლის ანგარიშში“ რომელიმე გუბერნია ხაზინისთვის ზარალის მომცემად გამოდიოდეს და ნამდვილად კი ეს გუბერნია თვალსაჩინო წმინდა შემოსავლის მომცემი იყოს. გამოაშკარავება ამ შეუსაბამობისა, რომელიც არსებობს ფორმალურ ციფრებსა და საგნის ნამდვილ ვითარებას შორის, სტატისტიკურ-ეკონომიურ შედარებასა და ყოველმხრივ გამოკვლევას შეუძლია.

ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი და ეხლა კი გვინდა, კავკასიის შესახები ციფრები ისე ავიღოთ, როგორც „ანგარიშებში“ არის ნაჩვენები, თუმცა კავკასიის ბევრი ისეთი ხარჯი აწერია, რომელიც იმ ზომით მას ნამდვილად არ ეკუთვნის, და ბევრი ისეთი შემოსავალიც არაა კავკასიიდან მოცემულად ნაანგარიშევი, რომელიც ნამდვილად ეძლევა ჩვენგან ხაზინას.

მიუხედავად ამისა, აბსოლუტური ციფრებიც რომ ავიღოთ და შემოსავალი და ხარჯები ერთმანეთს შევადაროთ, ვნახავთ, შემოსავალი მაინც მეტია ხარჯებზე და რომ კავკასია არა თუ ჰფარავს თავის ხარჯებს,—პირიქით, წმინდა შემოსავალსაც აძლევს ხაზინას.

კავკასიად ჩვენ აქ ვგულისხმობთ მხოლოდ ამიერ-კავკასიას (და ანგარიშში არ შეგვაქვს ჩრდილოეთის კავკასია და შავიზღვის პირის გუბერნია.

ციფრები ასეთია:

	ხაზინას მიუ-ლია კავკასიიდან	დახარჯულია კავკასიაზე	ხაზინას დარჩენია წმინდა შემოს.
1898 წელს	57.794000 მ.	51 598000 მ.	6.196000 მან.
1899 „	57.993000 „	53.808000 „	4.185000 „
1900 „	65.454000 „	57.731000	7.723000 „
1901 „	70.946000 „	59.442000 „	11.504000 „

როგორც ხედავთ, აქ აღნიშნულ წლებში ხაზინას ყოველთვის წმინდა შემოსავალი დარჩენია კავკასიიდან. ტენდენცია ისეთია, რომ, რაც დრო მიდის, მით უფრო მატულობს შემოსავალი და კავკასია უფრო და უფრო სასარგებლო ხდება ხაზინისათვის.

1897 წლიდან 1902 წლამდის, ე. ი. სულ 5 წლის განმავლობაში ხაზინას შესვლია კავკასიიდან 298.088,000 მ. ამ ფულიდან კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეზე დახარჯულა 271.838,000 მან., ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩენილა 26.250,000 მ. ანუ საშუალო რიცხვით 5.250,000 მან. წელიწადში.

ამას ამბობს კავკასიის აბსოლუტური ციფრები. შევადაროთ ისინი რუსეთის სხვა გუბერნიების ასეთსავე ციფრებს და მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ შედარებითაც კავკასია სრულიადაც არაა ხაზინის მაზარალებელი.

5 წლის განმავლობაში კავკასიიდან მთელი სახაზინო შემოსავალი ყოფილა 298.088000 მან. ანუ საშუალო რიცხვით წელიწადში 59.617000. ეს ჯამი რომ გავყოთ კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვზე, გამოვა, რომ კავკასიის თითო სული მცხოვრები იხდის წლიურად 10 მან. და 82 კაპ.

შესადარებლად ვიღებთ შემთხვევით შიდა-რუსეთის ოთხ გუბერნიას—კურლიანდიის, პსკოვის, ტავრიდისა და უფისას,—რომელნიც როგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რაოდენობით, ეთანასწორებიან კავკასიას. ამ ოთხ გუბერნიაში საშუალო წლიური შემოსავალი ადგენს 39.242000 მან., ანუ კაცის თავზე 7 მან. და 17 კაპ.

ათ ცენტრალურ გუბერნიაში ხაზინას ეძლევა კაცის თავზე შემოსავალი 5 მან. და 20 კაპ. ესრედ წოდებულ, სამრეწველო გუბერნიებში—6 მან. და 88 კაპ., შუაგულ აზიაში 3 მან. და 2 კაპ., ციმბირში—6 მან. და 40 კაპ.

მხოლოდ პოლონეთში და ბალტიის პირის გუბერნიებში კაცის თავზე მოდის ცოტა მეტი შემოსავალი, ვიდრე კავკასიაში. პოლონეთში—13 მან. და 11 კაპ. და ბალტიის პირას—23 მან. და 40 კაპ.

იმედია, ამ ციფრებიდან მკითხველი ნათლად ხედავს, რომ კავკასიას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ხაზინისათვის სარგებლობის მიცემის მხრით.

ჩავუკვირდეთ ამ ციფრებს ცოტა უფრო ღრმად და მაშინ ვნახავთ, რომ კავკასიის ადგილი ერთი პირველთაგანი არის.

ამაზე ლაპარაკს შემდეგ წერილში განვაგრძობთ.

* * *

რა არის საკონსტიტუციო სახელმწიფო?

(გ. მ. გესსენის მოხსენებიდან).

საკონსტიტუციო სახელმწიფო, როგორც საყოველთაო კენჭის ყრის უფლებაზე დამყარებული,—დემოკრატიულია, მაგრამ მას კიდევ სხვა მხარე აქვს, რომელსაც ყველა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

საკონსტიტუციო სახელმწიფოში მთავრობისა და მის სხვადასხვა წარმომადგენლის მოქმედება არსებულ კანონებზეა დამოკიდებული.

იქ, სადაც ხელმწიფეს განუსაზღვრელი უფლებანი აქვს მინიჭებული და არ უდგია გვერდში ხალხის წარმომადგენელთა კრება,—ხელმწიფის ყოველი ბრძანება, მისი ყოველი სიტყვა კანონია ქვეშევრდომთათვის.

თვით კანონთმდებლობა, კანონების ასრულება, სასამართლო იმავე პირის ხელშია და ამ ერთ პირის სურვილებს არა აქვს არავითარი საზღვარი.

ხელმწიფის სრულუფლებიანობას მოსდევს მის ხელქვეითების გაბატონება. „ვეზირს მის ხელმწიფის უფლება აქვს მინიჭებული, ამიტომ ყოველი ვეზირი ხელმწიფეა და ყოველივე ჩინოვნიკი ვეზირი“—ასე ახასიათებდა ამ მდგომარეობას ცნობილი მწერალი მონტესკიე. „მინისტრები—მეფეები არიანო, როგორც მეფის მოადგილენი“—ამბობს რუსეთის შესახებ სუმაროკოვი.

ჩინოვნიკის თვალში ყოველსავე კანონს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ მისი ასრულება ნაბრძანები აქვს უფროსისაგან. ჩინოვნიკი არაფრად აგდებს ხალხს, რომელსაც არა აქვს მინიჭებული არავითარი უფლება. ყოველი ადამიანი ჩინოვნიკის მონად ჰხდება და არა ბატონად; ადამიანი ამნაირ სახელმწიფოში ქვეშევრდომია, და არა მოქალაქე.

საკონსტიტუციო სახელმწიფოში მთავრობა, პირიქით, თვითონ ემორჩილება კანონს. კანონით, კონსტიტუციით არის გარკვეული გზა, რომელსაც უნდა დაადგეს მთავრობა კანონების გამოცემაში; კონსტიტუციით არის ნაჩვენები ისიც, თუ როგორ უნდა ასრულდეს კანონი; ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველგან და ყოველთვის უნდა ადგეს კანონიერებას.

საზოგადოდ, ყველა საკონსტიტუციო სახელმწიფოში ერთმანეთზე დაშორებულია საკანონმდებლო და კანონების აღმასრულებელი ნაწილები და ყველგან ეს უკანასკნელი ემორჩილება პირველს.

ყველა მეცნიერი, რომელსაც დაუწერია რამე სახელმწიფო წესწყობილების შესახებ, ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო უფლებათა ერთმანეთში გარევა და ერთ ადამიანის ხელში მთავრობა—საშიშია და ხალხის კეთილდღეობისთვის მავნებელიც, ვინაიდან, ამბობს მონტესკიე, ამნაირ შემთხვევაში „კანონმდებელი მტარვალობას დაადგება და მტარვალივით ასრულებს ან არ ასრულებს თავისსავე კანონებს“.

თანამედროვე საკონსტიტუციო სახელმწიფოებში მთელი უმაღლესი უფლება აქვს მინიჭებული საკანონმდებლო კრებას, რომელსაც ემორჩილება სასამართლო და ადმინისტრაცია.

რესპუბლიკებში კანონმდებლობა პირდაპირ ხალხის ხელშია (როგორც, მაგ., შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში), ან მის წარმომადგენელთა ხელში, და კანონის აღმასრულებელი ნაწილი სრულად ემორჩილება ამ კრებას და მისგანვე არის ხოლმე არჩეული რამდენისამე წლის ვადით.

მართალია, საფრანგეთში პრეზიდენტს მინიჭებული აქვს უფლება დაითხოვოს წარმომადგენელთა კრება და ხალხს ახალი წარმომადგენლები აარჩევინოს, ჩრდილო-ამერიკის შტატებშიაც პრეზიდენტს შეუძლია შეაჩეროს კრების ზოგიერთი გადაწყვეტილება, მაგრამ ამასაც საფუძვლად აქვს ხალხის უფლებათა გაფართოვება, ვინაიდან პალატის დათხოვნა ან გადაწყვეტილების შეჩერება უნდა მოხდეს ხოლმე იქ, სადაც პრეზიდენტს ჰგონია, რომ პალატა ხალხისთვის საზარალო ან მისთვის არა-სასურველ გადაწყვეტილებას ადგება.

ახლად არჩეულმა წარმომადგენლებმა თუ დაამტკიცეს წინანდელ წარმომადგენლების გადაწყვეტილება, პრეზიდენტი ვალდებულია დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებას და აასრულოს იგი დაუყოვნებლივ.

საკონსტიტუციო სახელმწიფოში კანონმდებლობაში მონაწილეობას იღებს ორი სხვადასხვა ძალა, რომელსაც ცალცალკე არ შეუძლია კანონების გამოცემა იკისროს. მეფე და პარლამენტი ერთად მოქმედებენ, ერთმანეთთან შეთანხმებით არკვევენ კანონებს და ახლად შემუშავებულ კანონებსაც აძლევენ კანონის ძალას.

მთავრობის მოქმედებას ორნაირი საზღვარი აქვს ხოლმე—საპოლიტიკო და სამოსამართლო. ზოგიერთ სახელმწიფოში, როგორიც არის, მაგ., პრუსსია და შეერთებული შტატები ამერიკაში, აღმასრულებელი უფლება არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო უფლებაზე და მინისტრების დაყენება ან გადაყენება მინდობილი აქვს თვით პრეზიდენტს, ხალხს კი, ან მის წარმომადგენლებს, აღმასრულებელთა მოქმედების კონტროლი აქვს მინიჭებული.

კრებას შეუძლიან შეეკითხოს სამინისტროს, უკმაყოფილება გამოუცხადოს ხოლმე. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერია ბიუჯეტის უფლება,—ხალხის წარმომადგენლები ყოველ-წლიურად ირკვევენ და ამტკიცებენ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას და ამით მთავრობის მოქმედებასაც სასურველ ფარგალში ამწყვდევენ. ხალხის წარმომადგენლებმა ხარჯთ-აღრიცხვა თუ არ დაამტკიცეს და რომლისამე ხარჯისათვის არ გამოიღეს საჭირო ფული, მთავრობაც იძულებული შეიქმნება დაემორჩილოს კრებას და ამ საქმეზე აიღოს ხელი, ვინაიდან უფულოდ რისიმე გაკეთება არ შეიძლება. ამას გარდა, ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიანთ სამართალში მისცენ ის მინისტრი ან ჩინოვნიკი, რომელიც გადაუხვევს კანონს, ან გამოუცხადონ უნდობლობა სამინისტროს, რომელიც ამნაირ შემთხვევაში იძულებული ხდება სამსახურიდან გადადგეს.

იქ, სადაც ხალხს მართვა-გამგეობაში არა აქვს მონაწილეობა, სახელმწიფო სამსახურში მყოფთა პასუხის გებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ უფროსების ნებართვით, საკონსტიტუციო სახელმწიფოებში კი ასეთი ნებართვა არ არის საჭირო და თვითმინისტრებიც არ არიან ამნაირ პასუხისაგან თავისუფალნი.

რაკი ხალხი ინახავს მთავრობას, ხარჯს იხდის საამისოდ და ქონებრივად პასუხის მგებელი ხდება მთავრობის მოქმედებისთვის, ამიტომ ხალხსავე უნდა ჰქონდეს მინიჭებული მართვა-გამგეობისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებაც სახელმწიფოში.

(„სინ ოტეჩესტვა“ № 43).

* * *

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

11 აპრილი.

პარიზი. ლუბე, შინაგან საქმეთა მინისტრი, სენატის პრეზიდენტი და სხვანი წავიდნენ ბორდოში, სადაც გამბეტას ძეგლის კურთხევას დაესწრებიან.

სოფია. ზაგორიჩანში ბერძნების მიერ ახლებულ ბულგარელთა საქმის გამორკვევა ხალხსა და პრესსას უფრო და უფრო აღელვებს და აშფოთებს. სოფიასა და სხვა ქალაქებში მოხდა მიტინგები. მიღებულ რეზოლიუციებით საშინლად ჰკიცხავენ ოსმალეთს, რომელიც ბერძნებს მფარველობას უწევს. გარდა ამისა, ხალხი სთხოვს ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის ტრაქტატს ხელი მოაწერეს, საქმეში ჩაერიონ და მაკედონიაში ანარქია მოსპონ.

პარიზი. ხმა დადის, ტულონში ბრძანება მიიღეს, სამხედრო გემები „კლებერი“ და „დიესე“ შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნონ, კრეისერები „კასარდი“ და „ალჟირი“ კი წასასვლელად მზად იყვნენო.

იურიევი, 11 აპრილი. უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, 26 აპრილს დანიშნულია სახელმწიფო ეგზამენები. ჯერჯერობით მხოლოდ 1 თხოვნა შემოვიდა. საბეითალო ინსტიტუტში უკანასკნელ კურსზე ეგზამენები ერთის თვის შემდეგ გათავდება. ეგზამენს 20 კაცამდე იჭერს.

მინსკი. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. დაჟინებით ირწმუნებიან, ამ დღეებში ებრაელებს, მოსწავლეებსა და ინტელიგენტებს აიკლებენო. გუშინ ორ რეალისტს თავს დაესხნენ და ერთი მათგანი დანით დასჭრეს. ამ ამბავმა ქალაქში აუწერელი შიში გამოიწვია.

ლოძი, 11 აპრილი. ებრაელთა პასექის პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ქუჩები ცარიელია. ეზოებში ხშირად ისმის რევოლვერებისა და თოფების ხმა. ქუჩა-ქუჩა სალდათები დადიან.

ტობოლსკი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, დაბეჭდოს 2000 ცალად 18 თებერვლის რესკრიპტი და უკაზი ციმბირში ერობის შემოღების შესახებ და ხალხში გავრცელოს.

ლიბავა, 11 აპრილი. დამით, ალბად გაუფთხილებლობის გამო, წყლისპირა ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა შერიით სავსე დიდ ქვის ბეღელს. ზარალი 1.500,000 მანათამდეა. ბეღელი და ხორბალი დაზღვეულია.

ტვერი, 11 აპრილი. საგუბერნიო გამგეობის პირველ თებერვლის არჩეულნი ყველა წევრნი დამტკიცებულ იქმნენ.

ჩიტა, 11 აპრილი. 21 აპრილისათვის ჩიტაში მოწვეულია პირველი კრება იმიერ-ბაიკალის ოლქის ბურიატებისა, რომელთაც თავიანთ საჭიროებაზე უნდა მოილაპარაკონ.

როვნოე (სამარის გუბერნია), 11 აპრილი. ნოქრებსა და აღებს შორის მომხდარ შეთანხმებისა გამო, უბირ დღეს ვაჭრობა იქმნება დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე. კვირა-უქმე დღეებში არ ივაჭრებენ.

კრემენჩუგი, 11 აპრილი. სამეურნეო საზოგადოების კრებაზე ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, როგორ აიცილონ თავიდან აგრარული უწესოებანი.

ბათუმი. მოვიდა სახალხო მატარებელი.—გუშინ, დღისით, მიხეილის პროსპექტზე მოჰკლეს სამი აფხაზი. ერთი მათგანი სოფლის მოხელე იყო. გუშინ დანაშაულობის ჩადენის დროს შეიპყრეს შეიარაღებული მძარცველი.

პეტერბურგი, 11 აპრილი. ბეჭდვითი სიტყვის შესახები კრებები გაგრძელდება ივნისის ნახევრამდე, შემდეგ სხდომები შესწყდება და განახლდება შემოდგომაზე, რათა განხილულ იქმნას საცენზურო წესდების ის პროექტი, რომელსაც შეიმუშავებენ ამ ხნის განმავლობაში. საფიქრებელია, რომ ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის იანვრამდის გადაეცეს.

კიშინიევი, 11 აპრილი. იმ ხმებმა, რომ აღდგომა დღეს უწესოება უნდა მოხდესო, აიძულა ეპისკოპოსი ვლადიმერი ქალაქის საბჭოს დარბაზში, 1,500 კაცის წინაშე, სიტყვა წარმოეთქვა. დაესწრნენ გუბერნატორი და ქალაქის მოურავიც.

პეტერბურგი. ის შეღავათები, რომლებიც უცხოელებს ქვანახშირის პოლონეთის სამეფოს საბაჟოებზე გატარების დროს ეძლეოდათ და რომლის ვადაც 26 მარტს გათავდა, აღარ მიეცემათ.

ბორდო, 11 აპრილი (რეიტერი). მოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. ხალხი აღტაცებით მიეგება.

12 აპრილი

მინსკი, 11 აპრილი. რადგანაც მცხოვრებლებმა და ხმოსნებმა მათის პირადობისა და ქონების უზრუნველ-ყოფის შესახებ განცხადებანი შეიტანეს, საბჭომ დაადგინა, დაუყენოს საქალაქო დარაჯები და ამოირჩია დეპუტაცია, რომელიც უნდა წარუდგეს გუბერნატორს და სთხოვოს, რომ სასტიკი ზომები იქმნას მიღებული მცხოვრებთა დასაფარავად და აგრეთვე პოლიცია დაუქვემდებარდეს ქალაქის საბჭოს.

თავრიზი, 9 აპრილი. ახლად მოსულმა გუბერნატორმა გაფიცულ აღათების წინააღმდეგ, რომელთაც ხორბალზე ფასები ასწიეს, სასტიკი ზომები მიიღო. ზოგიერთი დაატუსაღეს.

ბელგრადი, 11 აპრილი. გუშინ, 1875 წელს

მიდან ობრენოვიჩის წინამძღოლობით მომხდარ აჯანყების წლის თავი იყო. მეფე პეტრემ ეს სახალხო დღესასწაული გააუქმა. მთელი პრესსა განთავისუფლების დღეს აღტაცებით მიეგება. ქუჩებში აუარებელ ხალხის ბრბო დადიოდა. საკრებულო ტაძარში დეკანოზმა ბოგიჩმა მეფის თანადასწრებით გარდაიხადა პარაკლისი მილანის მიერ სერბიის განთავისუფლებისა გამო. ბელგრადის მეციხოვნე ჯარი მთელ ღამეს თოფ-ქვეშ იდგა, რადგანაც უწესოების მოხდენისა ეშინოდათ.

მოსკოვი, 11 აპრილი. წითელ ჯვრის მოსკოვის გამგეობის თავმჯდომარეობაზე გენერალ-ადიუტანტმა დანილოვმა უარი განაცხადა. წითელ ჯვრის შემოწირულებამ ძალიან იკლო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

11 აპრილი.

მანილა, 11 აპრილი. კორეჟიდორის კუნძულებთან, მანილის ნავთსადგურის შესავალთან, 3 სამხედრო გემი დაინახეს. რადგან გემები ძალიან შორს იყვნენ, ამიტომ ვერ გაარჩიეს, ვის ეკუთვნოდნენ, მაგრამ ჰგონიათ კი, რომ ეს გემები იაპონიისა იყო. აქ მყოფი იაპონიის კონსული ყოველ საათს ელის ადმირალ კამიმურას მოსვლას.

ადესა, 11 აპრილი. „ცესარევიჩ“-ით მოვიდა მე-18 გუნდი პორტ-არტურელებისა, რიცხვით 15 კაცი. „ანდალუზია“-მ მოიყვანა მე-19 გუნდი, რიცხვით 790 კაცი.

მოსკოვი, 11 აპრ. ერობის რწმუნებული შორეულ-აღმოსავლეთიდან დეპეშით იუწყება: ერობის სანიტართა 4 რაზმი სამხრეთისკენ წავიდა. მოსკოვის ქალაქის საავადმყოფოს ექიმი ზალგი ნიკოლსკ-უსურიისკიდან მოვიდა და გვიამბო, რომ სამხედრო საავადმყოფოებს საექიმო მასალები და წამლები აკლიათო. წითელ ჯვრის საავადმყოფოები მშვენივრად არის მოწყობილი. დღეს ავადმყოფობისა გამო ბრძოლის ველიდან კორპუსის უფროსი, გენერალი მილოვი მოვიდა.

ტოკიო. მიკადო ცოტა უქეიფოდ შეიქმნა. გამას ბაღში ჩვეულებრივ ყოველ-წლიურ სეირნობას ველარ დაესწრო.

საიგონი, 11 აპრილი. კამრანიდან მოსული, ჰავასის კორესპონდენტი იუწყება, რომ სრუტეში იდგა 25 რუსის გემი, მათ შორის სატრანსპორტო გემიც იყოო. ესკადრა 9 აპრილს, შუადღისას, ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა. ნავთსადგურის ახლო დარჩნენ მხოლოდ კრეისერი „სვეტლანა“, საავადმყოფო გემი „ორიოლი“, გერმანიის 4 სატრანსპორტო გემი, 7 დანიისა და 4 რუსისა. საფრანგეთის კრეისერი „დეკარტი“-ც 9 აპრილს წავიდა. რუსის კონტრ-ნაღმოსანი სდარაჯობს დარჩენილ გემებს. ერთი მეთევზე ამბობს, ნხანტავთან 20 სამხედრო გემი ვნახეო. სხვა მეთევზეები ამტკიცებენ, 6 აპრილს, საღამოზე, კამრანის ახლოს ზარბაზნის სროლა გვესმოდაო. შესაძლებელია, როჟესტვენსკიმ სავარჯიშო სროლა მოახდინაო.

მოსკოვი. ორის სათნოების დისა და დოსტაქრის თანხლებით აქ მოიყვანეს მძიმედ დაჭრილი პოდპოლკოვნიკი გურკო.

ამოი, 11 აპრილი. ინგლისის გემი „რუბანი“ იუწყება, რომ 9 აპრილს, ღამით, ბლანკოს კონცხის მახლობლად, ჰონკონგიდან 60 მილის მანძილზე, აღმოსავლეთით, მას შეხვედრია სამი ნაღმოსანი. გემებს „რუბანისაკენ“ პროჟექტორები მიუმართავთ. ჰფიქრობენ, იაპონიის ნაღმოსნები უნდა ყოფილიყვნენო.

ტოკიო, 11 აპრილი. გაზეთი „კოკუმინი“ აცხადებს, კამრანის შესახებ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას ერთის მხრით ინგლისის ჩვენდამო კეთილგანწყობილებას უნდა ვუმადლოდეთო. გაზეთი ამბობს, ეს შემთხვევა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ იაპონია-ინგლისის კავშირი ნამდვილად არსებობს და იმედოვნებს, რომ ეს კავშირი საერთო მშვიდობიანობას ემსახურებაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შორეულ აღმოსავლეთის სანამესტნიკო. ადმირალის ალექსეევის ოთხივე კანცელარია—სამოქალაქო, სამხედრო, საზღვაო და სადიპლომატო უცვლელად დარჩება იმ დრომდე, სანამ რუსეთი კვანტუნის ნახევარ კუნძულს არ დაიბრუნებს. იმ დრომდე მოხელეებს ჩვეულებრივი ჯამაგირი მიეცემათ (მათ შორის მარტო ნამესტნიკს 104 ათასი მანათი).

გენ. კუროპატკინმა მთავრობას სთხოვა, ეხლაც მთავარსარდლის ჯამაგირი დამინიშნეთო, მაგრამ უარი მიიღო და 144 ათას მანათის მაგივრად მხოლოდ 108 ათასს მიიღებს (რ. ვ.).

შვეიცარიის სამხედრო აგენტის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. ამ დღეებში ბერნში დაბრუნდა შვეიცარიის სამხედრო აგენტი, პოლკოვნიკი გერში, რომელიც აქამდის მარშალ ოიამას შტაბში იყო. პოლკოვნიკ გერშს „ბერლოკ. ანც.“-ის თანამშრომლისთვის უთქვამს: ბრძოლის ველზე სიკვდილი მოკლულისა და იმის ოჯახისთვის იაპონიაში უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნიათ. რუსებმა იაპონელებს ადვილად დაუთმეს გამარჯვება. ევროპის სხვა სახელმწიფო იაპონიას იქნება ასე ადვილად ვერც კი დაემარცხებინა. იაპონელებს ცუდი ცხენები ჰყავთ, მაგრამ კაზაკების ცხენები უფრო უარესია და თვითონ განთქმული კაზაკებიც იაპონიის ცხენოსან ჯარს სულაც ვერ შეედრება. რუსეთის არტილერია გაცილებით სჯობია იაპონიისას, მაგრამ რუსებმა ამით ვერც ერთხელ ვერ ისარგებლეს, რადგან თვითონ არტილერისტები სულ უვიცნი არიან (რ.).

პორტ-არტურის ისტორიიდან. პორტ-არტური რომ აიღეს, რუსეთის „პატრიოტულმა“ პრესამ მთელ ქვეყანას ყურები გამოუჭედა, სტესელს არც ხალხი ჰყავნდა და არც სურსათი და არც ყუმბარები ჰქონდაო. გუშინდელ დეპეშიდან სჩანს, რომ რუსებს აუარებელი ყუმბარა და იარაღი ჰქონიათ, ხოლო როცა დაატყეს, რომ პორტ-არტურს ბოლო ეღება, მიწაში ჩაფლეს. ეხლა ეს მასალა და ყუმბარები იაპონელებს უპოვნიათ.

გენ. სტესელი იწერებოდა, ხალხი აღარა მყავსო. ბრძოლა მხოლოდ 10 ათას კაცს შეუძლიან, დანარჩენები კი (16 ათასი კაცი) ავად არიანო. ამის შესახებ „რუს“-ს ნამდვილი ცნობები მოჰყავს:

18 დეკემბერს, ე. ი. ციხის აღებას ერთი დღის წინად, პორტ-არტურში ითვლებოდა: 9 გენერალი, 61 შტაბ-აფიცერი, 689 ობერ-აფიცერი, 101 სამხედრო მოხელე, 112 ექიმი, 13 მღვდელი, 101 სათნოების და, 28,715 შეიარაღებული სალდათი და 3645 შეუიარაღებელი, მეზღვაურები: 4 ადმირალი, 71 შტაბ-აფიცერი, და 8500 მატროსი. სულ—42 ათასამდე. მათ შორის ჯანსაღი და შეიარაღებული იყო 26 ათასი კაცი. სად 26 ათასი და სად 10 ათასი? (რ. ვ.).

იტალიელნი ზავს თხოულობენ. იტალიის პარლამენტის დეპუტატმა, გაზეთ „სეკოლო“-ს რედაქტორმა რომუსიმ პარლამენტში პეტიცია წარადგინა, რუსეთ-იაპონიის ომის მოსპობა მოითხოვა დ ამასთან შესაფერი სიტყვაც წარმოსთქვა. პეტიციაზე ხელი 350 ათას კაცს ჰქონდა მოწერილი (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი. ქალაქის საბჭომ გუშინდელ სხდომაზე ხელმეორედ განიხილა და უარჰყო 28 მარტის დადგენილება პოლიციელთა მომატების შესახებ.

ახალი ამბავი

ბაქოს გუბერნატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, **უკანვე დაუბრუნა ქალაქის მოურავის მოადგილეს** კ. ბ. საფარალიევს **ქალაქის საბჭოს მიერ მინისტრის სახელზე გაგზავნილი დეპეშა,** რომლითაც საბჭო თხოულობდა, ქალაქის დეპუტატებს 18 თებერვლის ბრძანების ძალით შემდგარს საბჭოში მონაწილეობის ნება-რთვა ჰქონდესო. გუბერნატორმა ამასთან ქალაქის მოურავის მოადგილეს განუმარტა, საქალაქო დებულების ძალით, ქალაქის მოურავებს ნება არა აქვთ რაიმე თხოვნით პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართონ, თუ ამაზე საგუბერნიო მმართველობას არ შეეკითხნენო; დეპუტატების არჩევა და გაგზავნა კი უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ნება-დაურთველად აღკრძალულიაო (რ. ვ.).

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ინჟ. ივანოვსკი ახალ თანამდებობაზე გადადის.** მანჯურიის ჯარების უფროსმა გენერალმა ლინევიჩმა იგი ციმბირის ყველა რკინის გზების უფროსად მიიწვია.

✦ გუშინ ქალაქის მოურავმა ბ-ნ **სულთან კრიმ გირეის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:** „ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა, გამოგიცხადოთ თვისი უაღრესი სიხარული უმაღლესს თანამდებობაზე დანიშვნის გამო. საბჭო გისურვებთ თქვენ ყოველსავე წარმატებას ახალ თანამდებობის აღსრულების დროს და იმედოვნებს, რომ თქვენი გამოცდილება, სიყვარული ჩვენის მხრის ყველა ერებისადმი და თქვენი ღრმა რწმენა მათის შემოქმედებითი ძალებისადმი ახლა თავს იჩენს“.

საბჭოს ხმოსნებმა შემდეგი საპასუხო **დეპეშა მიიღეს ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეისაგან:** „სულითა და გულით ვმადლობ ყველა იმათ, ვინც მომილოცა და ვისაც ვახსოვარ.“

✦ ამ რამდენისამე წლის წინად ძმ. ბოზარჯიანცების თამბაქოს ქარხანაში წესად შემოიღეს მუშათა საპენსიო კასსის გასაძლიერებლად მუშათა ხელფასიდან რამოდენისამე პროცენტის გამორიცხვა. აქედან 10—12 ათას მანეთის თანხა შესდგა. როდესაც **გაფიცვის დროს ეს თანხა მუშებმა უკან მოითხოვეს, მექარხნეებმა უარი უთხრეს.** მუშებმა საქმე განასაჩივრეს ფინანსთა სამინისტროში და მოიგეს კიდეც. გუშინ-წინ ალექსანდრეს ბაღში თავი მოიყარა ბოზარჯიანცის ქარხნის 200-მდე მუშამ, რომ მოელაპარაკნათ, რა დანიშნულება მიეცეს ამ თანხას, მაგრამ კაზაკებმა დაჰფანტეს. ახლა მუშები სთხოვენ ქალაქის მოურავს, კრების გასამართავად დაუთმოს საბჭოს დარბაზი. ბ-ნი ვერმიშევი მზადაა დაუთმოს იგი, თუ გუბერნატორი კრების ნებას მისცემს.

✦ ორშაბათს, 11 აპრილს, უსახელო საზოგადოების დირექტორს, ქალაქის მოურავისა და მოსამსახურეთა წარმომადგენლებს **კრება ჰქონდათ მოსამსახურეთა საერთო მოთხოვნილებათა განსახილველად.** ჯერ-ჯერობით დირექტორმა შესაძლებლად დაინახა: ჯამაგირების მომატება, მუქთი წამლობა და სამკითხველო-წიგნთსაცავის დაარსება. რვა საათის სამუშაო დღის დაწესება დამოკიდებულია საბჭოზეო, ხოლო დანარჩენ მოთხოვნილებათა პასუხს კი უმთავრესი მმართველობა (ბელგიაში) შეგვატყობინებსო.

✦ **გლეხთა მოძრაობის გამო** ტფილისის, გორისა და სიღნაღის მაზრებში დღევანდლამდე ჯერ თხუთმეტი სამრევლო სკოლა დაიკეტა.

✦ გუშინ, 12 აპრილს, ტფილისში დაბრუნდა **გლეხთა მოძრაობის ნამდვილ მიზეზთა გამოსაკვლევად** დუშეთის მაზრაში გაგზავნილი. ბ-ნი შესტაკოვი.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ საქართველოს **ექსარხოსი ნაალდგომევს პეტერბურგს მიემგზავრება.**

✦ როგორც ვიცით, გორის ეპისკოპოსის კათედრაზე **წარდგენილ იქმნა ალავერდის ეპისკოპოსი ექვთიმე.** ამ წარდგენილობაზე შემდეგი პასუხი მოვიდა,—ეპისკოპოსი ექვთიმე დაინიშნა ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორის ნამდვილ წევრად, თვით ეპისკოპოსად დანიშვნაზე კი არაფერია ნათქვამი. ხმა დადის, გორის ეპისკოპოსად რუსს ნიშნავენო, ხოლო ეპისკოპოს ექვთიმეს საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცებენო.

✦ ექსარხოსის განკარგულებით, საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურის **ვოსტორგოვის თანამდებობის აღსრულება მიენდო საეპარქიო მეთვალყურეს ოდოევს.**

✦ რადგანაც მეცხრე უბნის სახლის პატრონებმა შესჩივლეს ქალაქის მოურავს, „დვორნიკების“ დასათხოვად მუქარის წერილები მოგვდიოსო, ბ-ნმა ვერმიშევმა გუშინ, 12 აპრილს, გუბერნატორი ინახულა. **გუბერნატორმა უთხრა:** დღეს, 13 აპრილს, დილის 9 საათზე, **მომჩივანი სახლის პატრონები ჩემთან უნდა გამოცხადდნენო.**

✦ გუშინ, 12 აპრილს, ქალაქის **წარმომადგენლებმა მეფის მოადგილის** თანამდებობის აღმასრულებელს **მიულოცეს** ახალი დანიშნულება.

✦ გუშინ, 12 აპრილს, მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებლის გენ.-ლეიტ. მალამას **წინაშე წარსდგა მოწაფეთა მშობლებისაგან არჩეული დეპუტაცია.** დეპუტაციამ სთხოვა, ნება მიეცეთ საზაფხულო საკრებულოს დარბაზში გამართონ მშობელთა საერთო კრება მოწაფეთა საჭიროების შესახებ მოსალაპარაკებლად. გენერალმა მალამამ კრების პროგრამა მოსთხოვა.

✦ გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ უარი განაცხადა ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს განყოფილების თავმჯდომარეობაზეო. ახლა, როგორც გვატყობინებენ, **მ. ცინცაძე დათანხმებულა ამ თანამდებობის მიღებაზე, იმ პირობით** კი, რომ ამ განყოფილებას დაუბრუნდეს ის ფართო უფლებანი, რომელიც წინად ჰქონდა მინიჭებული. მაგალითად, საბჭო დანიშნავს და გადააყენებს მასწავლებლებს, შემოიღებს და შესცვლის ამა თუ იმ საგნის სასწავლო პროგრამას და სხვ.; სასულიერო მთავრობა დასთანხმებია ამ პირობაზე და საბჭოსათვის ფართო უფლებანი დაუბრუნებია.

✦ ამას წინად ქუთაისის გუბერნიის პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლებმა დაადგინეს, რუსეთის ცხოვრების დღევანდელ არა-ნორმალურ პირობებში სწავლის გაგრძელება შეუძლებელიაო, და თავის მხრივ მთავრობას რამდენიმე მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ამნაირივე რეზოლიუცია ბათუმის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლებსაც მიუღიათ. **ერთი მასწავლებელი, რომელსაც ამ რეზოლიუციაში მონაწილეობა მიუღია, სახალხო სასწავლებლების დირექციის განკარგულებით, სამსახურიდან დაუთხოვნიათ.** სკოლებში სწავლა 24 მარტიდან შესწყდა (ჩ. ვ.).

✦ ახალქალაქის მაზრიდან კანადაში გადასახლებულ დუხობორების ერთი ნაწილი ახალქალაქის მაზრაშივე დარჩენილ დუხობორებს ატყობინებდა, აქ კარგი ადგილია და წამოდითო, მეორე ნაწილი კი, პირიქით, იუწყებოდა, ნუ წამოხვალთ, ისეთი ცუდი ადგილია, რომ ცხოვრება არ შეიძლებაო. ეხლა აქაურმა **დუხობორებმა თავიანთ შორის ორი კაცი ამოარჩიეს** და კანადაში ჰგზავნიან, ყველაფერი გაიგეთ და, თუ მართლა კარგი ადგილია, ჩვენც იქ გადავსახლდებით, თორემ აქ აღარ დაგვედგომებაო.

✦ სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ კანონპროექტი იუსტიციის მინისტრის მანუხინის განმარტებითურთ: **„სტავროპოლისა და ჩერნომორის გუბერნიებში და ყუბანის ოლქში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღების შესახებ“** (ნ. ო.).

✦ მომავალ კვირას ტფილისის **საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას კრება ექმნება** მოსალოდნელ ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა გამოსაღებნად. ამ კრების შემდეგ მოწვეულ იქმნება კრება ტფილისის მკურნალთა, რომლებმაც უნდა განიხილონ სამკურნალო გამგეობის დადგენილებანი და თავიანთი აზრი გამოსთქვან.

✦ დღეს, 13 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **აკურთხებენ იმ საავადმყოფოს საძირკველს**, რომელიც ავლაბარში, ქალაქის მიწაზე, ბ-ნ არამიანცის ხარჯით შენდება.

✦ ჩვენ დანამდვილებით შევიტყეთ, რომ დედათა საეპარქიო სასწავლებლის **ინსპექტორი მ. გოროდცევი თავისს თანამდებობას თავს ანებებს და კავკასიიდან რუსეთში** სხვა თანამდებობაზე გადადის.

✦ 9 აპრილს, ავლაბარში, მეპურე გიორგობიანს ვიღაცეებმა სთხოვეს, პური მოგვყიდეო. გიორგობიანმა უარი უთხრა, ჯერ არ გამომიცხვიაო. ამასობაში ხალხი მოგროვდა. ოცამდე კაცმა სათორნის კარები შეამტვრია და შიგ შეცვივდა. პურის მცხობლები კეტებითა და შეშის ნაჭრებით **დახვდნენ და მძარცველები მოიგერიეს.** ჩხუბის დროს რამდენიმე კაცი დაშავდა.

✦ სოფელ კავთისხევის მემამულე ქალს **ქ-ნ საყვარელიძისას ერთი ნაჭერი მიწა შეუწირავს** ადგილობრივ თეატრის ასაგებად. აქაური ინტელიგენცია ჰფიქრობს, ხელის მოწერა გამართოს იაფ-ფასიან შენობის ასაგებად.

✦ აპრილის 15, ვანქის გალავანში, ცნობილ სომეხ პუბლიცისტისა და გაზ. „არძაგანქის“ რედაქტორ-გამომცემლად ნამყოფ **აბგარ იოანნისიანის** საფლავზე პანაშვიდს გადიხდიან. („ტარაზ“).

✦ რედაქციამ **მიიღო ახალი წიგნი:** ალექსანდრე მესხია, თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები ალ. მესხიასი და საუბარი თვითშემეცნებაზე—პავლე აკობიასი. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 120 გვერდს და ღირს 25 კაპ.

✦ კავკავში არსდება სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება („ტარაზ“).

✦ გუშინ-წინ, 11 აპრილს, ღამის ათ საათზე, 1 საპოლიციო უბანში სანთლის ქარხანას დასცემია 8 შეარაღებული კაცი და, როდესაც საერთო კასსის გატეხას აპირობდნენ, ღამის ყარაულებს შეუტყვიათ, დაუწყიათ ყვირილი, მისულა პოლიცია, მაგრამ მძარცველები გაჰქცევიათ და მხოლოდ შვიდი თუმანი წაუღიათ.

✦ გუშინ-წინ, 11 აპრილს, 1 საპოლიციო უბანში, გუნიბის ვიწრო ქუჩაზე, ტიტოვის სახლში, ტფილისის მცხოვრებს ივანე პეტრუხინს კარბოლის სიმჟავით თავი მოუწამლავს. პეტრუხინი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მიზეზი თავის მოკვლისა, როგორც დატოვებულ წერილიდანა სჩანს, უკიდურესი მდგომარეობა ყოფილა. დარჩენია ცოლი და ოთხი წვრილი შვილი.

✦ მივიღეთ ჟურნალ „მურჭი“ № 4. ამ ნომრის შინაარსი შემდეგი არის: 1. სასუნელი დავითი და მხრამელიქი,—დრამატიული პოემა ლ. მანველიანისა. 2. ანის გზაზე,—აჰარონიანისა. 3. ⁂ ლექსი ისააკიანისა. 4. ჩემი ამხანაგები (სოფლის ცხოვრებიდან)—ჯავახელისა. 5. ბედის ტრიალი, მოთხრობა წატურიანისა. 6. დარალაგეზი ანუ ვეის ხევი. მ. ტ—აი-სა. 7. მინდორში, მოთხრობა წატურიანისა. 8. წერილები რ. პატკანიანისა. 9. ოსმალეთის ფინანსები, რ. ბერბერიანისა. 10. ბნელი დღე-

---

ფელეტონი

პოლონეთი და რუსეთი

პოლონეთი და რუსეთი!.. ორი მოწინააღმდეგე, მოქიშპე სახელმწიფო, რომელიც, აგერ რამოდენიმე საუკუნეა, ებრძვის ერთმანეთს და ეს ბრძოლა ჯერ კიდევ დღესაც არ არის დასრულებული!

პოლონეთი ძლიერი ყოფილა უწინდელ დროში... დამოუკიდებელი, ამაყი, ბრძოლაში გართული,—თამამად ჰგზავნიდა ჯარებს რუსების საწინააღმდეგოდ და...იმარჯვებდა რუსებზე! არა ერთხელ და ორჯელ გაქცეულა რუსების ჯარი პოლონელების შიშით და თვით რუსების მაშინდელი დედა-ქალაქი, მოსკოვი, ძრწოდა პოლონელ ჯარის მოახლოვებაზე... იმ დროს ძლიერი ყოფილა პოლონეთი!

საპოლიტიკო ძალასთან ერთად პოლონელები, რუსებთან შედარებით, კულტურით, განვითარებითაც უფრო ძლიერნი ყოფილან. იმ დროს, როდესაც რუსებში ჯერ სწავლა-განათლების ნასახიც არ იყო, პოლონელებს სასწავლებლებიცა ჰქონდათ მწერლობა განვითარებული.

რუსები პოლონელებისაგან სწავლობდნენ, რუსებს პოლონელებისა ეშინოდათ, რუსებს—ეჯავრებოდათ პოლონელები!

დრო შეიცვალა. წინად დაქსაქსული, პატარა სამთავროებად დაყოფილი რუსეთი თანდათან გაერთიანდა, მის ხელში გადვიდა სხვადასხვა მეზობელი სახელმწიფოც, მას მოემატა ძალა. რუსეთი ძლიერდებოდა იმ დროს, როდესაც პოლონეთი, სამ ძლიერ სახელმწიფოს შუა მომწყვდეული,—მეომარი, მოუსვენარი,—სამივეს საშიშად მიაჩნდა.

წინად რუსეთმა თუ თვითონ, თავის ძალით, ვერ სძლია პოლონეთი, ახლა სამმა მეზობელმა სახელმწიფომ მოუსპო პოლონელებს თვით-არსებობა და გაიყო პოლონეთი ერთმანეთში, როგორც ნადავლი რამე, უსიცოცხლო და უგულო.

პოლონეთი გაანაწილეს. ერთი ნაწილი შეხვდა რუსეთს, მეორე ავსტრიას, მესამე გერმანელებს, და ამითი მოეღო ბოლო პოლონეთის უწინდელ დიდებას.

რუსეთმა ამოიყარა ჯავრი პოლონელებზე,—რაკი ჩაიგდო ხელში თავისი გუშინდელი მოწინააღმდეგე, რომლის შიში წინად არ ასვენებდა, ახლა პირიქით ყოველივე შევიწროვება მიაყენა მას და ეცადა სამუდამოდ მოესპო პოლონელებში მომავლის იმედი.

დრო გადიოდა... პოლონელებმა რამოდენიმეჯერ სცადეს რუსებისაგან თავის დაღწევა. არ დაერიდებიან შეთქმულებას და აჯანყებასაც, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული დარჩენილან და ყოველ ამნაირ შემთხვევის შემდეგ უფრო მძიმე გამხდარა მათი უღელი, უფრო სასტიკი მათი საწინააღმდეგო ზომები, ულმობელი რუსების მოქცევა.

უკანასკნელ დიდ აჯანყების შემდეგ მაინც პოლონელების მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა..

ეროვნული წინააღმდეგობა გამწვავდა კიდევ იმითი, რომ ამ წინააღმდეგობის მოსპობა დაევალა რუსების ბიუროკრატიას, რომელმაც შიდა რუსეთში შეირცხვინა თავი და დაამტკიცა თავისი სრული უვარგისობა,—განაპირა ადგილებში კი იქცეოდა ისე, რომ მისი სახელი დაუვიწყარი შეიქმნება ისტორიაში...

ჯერ დააპირეს პოლონელთა ეროვნულ თავისებურობის მოსპობა და, რაკი ეს თავისებურობა გამოიხატება ეროვნულ ენაში, ამიტომ არ დაიშურეს არავითარი საშუალება იმისთვის, რომ ხალხში აღმოეფხვრათ მისი სამშობლო ენა.

ამისათვის სასწავლებელში ჯერ შეამცირეს და შემდეგ სრულებით აკრძალეს პოლონური ენა, აკრძალეს სასწავლებლებში პოლონური ლაპარაკი,—ყველას ახსოვს ის ერთი შემთხვევა, როდესაც სასტიკად იყო დასჯილი ერთი ბავშვი, რომელმაც დაარღვია ბრძანება და ამხანაგს პოლონურად დაელაპარაკა, ახსოვს იმიტომ, რომ ეს ბავშვი ყოფილა—რუსი.

შემდეგ თანდათან პოლონური ენა სასწავლებელს გარეთაც აკრძალეს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ქუჩაში, საზოგადო დაწესებულებებში შეიქმნა აკრძალული კერძო პირთა ლაპარაკი ერთმანეთში პოლონურ ენაზე!..

ავიწროვებდნენ პოლონურ პრესსას, შემოიღეს სასტიკი ცენზურა და ყოველსავე შინაარსსა და მნიშვნელობას უკარგავდნენ პოლონურ პრესსას.

აკრძალული შეიქმნა სწავლა-განათლების საქმეში კერძო ინიციატივა, ბავშვების შინ სწავლების უფლებასაც ართმევდნენ პოლონელებს,—ამბობდნენ, ესეც სასწავლებელი არისო და სასწავლებელზე მთავრობის ნებართვა უნდა გქონდეთ მიღებულიო უთუოდ.

მაგრამ ესეც არ კმარა,—პოლონელებს აეკრძალათ ზოგიერთ ადგილის ყიდვა, პოლონელების საწინააღმდეგოდ განსაკუთრებული კანონები იყო შემოღებული, განსაკუთრებული გადასახადი იმ ადგილ-მამულზე, რომელიც ეკუთვნოდა პოლონელებს,—უნდოდათ ამნაირად გამოეცალათ ეს ადგილები პოლონელების ხელიდან, დაეკარგვინებინათ პოლონელებისთვის ტერიტორია, ბოგანო და ყოველსავე საპოლიტიკო იდეალებს მოკლებულ ერად ექციათ ის ერი, რომელიც წინად ძლიერი ყოფილა, დამოუკიდებელი და თვით რუსებისთვინაც საშიში!..

ამავე გზას ადგნენ ის მეზობელი ერებიც, რომელთაც ჰქონდათ ჩაგდებული ხელში პოლონეთის რომელიმე ნაწილი. ცალკე გერმანია ცდილობდა და ცდილობს პოლონელების გადაგვარებას, ცალკე კიდევ ამასვე ცდილობდა ავსტრია.

მაგრამ საკვირველია! პოლონელები ვერ სძლია სამმა ძლიერმა სახელმწიფომ, პოლონელებმა დღემდის შეინარჩუნეს თავიანთი სამშობლო ენა, ერთობის გრძნობა, მომავლის იმედი და დამოუკიდებელი საპოლიტიკო ცხოვრების სურვილი. პოლონელებს გულში აქვთ—აღადგინონ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო და მოაქციონ ერთ ფარგალში ყველა ის ნაწილი, რომელიც ახლა სამ მეზობელ სახელმწიფოს ხელში გადასულია.

სხვის ხელში გადასულმა პოლონელმა ერმა მაგრად მოკიდა ხელი თავის ეროვნულ ინტერესების დაცვას, სამსავე სახელმწიფოში. რუსეთსა, ავსტრიასა და გერმანიაში პოლონელების ეროვნულმა მისწრაფებამ შეჰქმნა პოლონელთა საკითხი, რომელიც სამსავე სახელმწიფოს ძილს უფრთხობს და მიაჩნია საშიშოდ.

პოლონელებმა ამ სამ სახელმწიფოში თანასწორად ვერ გაიმარჯვეს.

ავსტრიაში, სადაც წინად გაბატონებული იყო გერმანელი ერი ისე, როგორც დღეს რუსეთში გაბატონებული არიან რუსები, დამონებულ ერთა საერთო მოქმედებამ ძირს დასცა ერთის გაბატონება და თანდათან შემოიტანა სახელმწიფო ცხოვრებაში ეროვნული თანასწორობის პრინციპი. გერმანელებს ჯერ გამოეცალათ ხელიდან უნგრეთი, რომელიც ამოუდგა გვერდში ავსტრიას და თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. აგრეთვე ჩეხები ცდილობენ ეროვნულ-კულტურულ დამოუკიდებლობის მიღწევას და პოლონელი ერი ავსტრიაში, სხვა ერებთან ერთად ეროვნულ საქმისთვის მებრძოლი, სხვებთან ერთად ითხოვს ეროვნულ ავტონომიის შემოღებას და, დღეს იქმნება თუ ხვალ, მიაღწევს უთუოდ საწადელს.

გერმანიაში პოლონელებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს იმდენისავე უფლების მოპოვება, როგორც ავსტრიაში. გერმანელი პოლონელები ჯერ კიდევ შევიწროებულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, იქაც ცდილობს მთავრობა პოლონელების გადაგვარებას, მაგრამ სამაგიეროდ ზოგიერთ უფლებასაც ანიჭებს მათ, საშუალებას უტოვებს კანონიერის გზით იბრძოლონ ეროვნულ თავისუფლების შესარჩენად.

ამიტომ გერმანიაში პოლონელები არიან დარწმუნებულნი, რომ მათ ეროვნულ საქმეს არავითარი საფრთხე არ მოელის შემდეგში, მით უფრო, რომ ცხოვრებამ გერმანიაში უკვე დაამტკიცა, თუ რამდენი სასიცოცხლო ძალა შესწევთ პოლონელებს.

არა თუ არ დაჰკარგეს თავიანთი ეროვნული სახე,—პირიქით სხვებიც გააპოლონელეს; არა თუ არ მოისპნენ, პირიქით მრავლდებიან ისე, რომ პოლონელთა მრავალშვილობა თითქმის ანდაზად გადაიქცა გერმანიაში.

სულ სხვა არის პოლონელთა მდგომარეობა რუსეთში. ბიუროკრატიის დედა აზრია—მისი განუსაზღვრელი ბატონობა ადამიანზე და ამიტომ პოლონეთშიაც ბიუროკრატია უსპობდა ეროვნულ ბრძოლის უფლებას. ვინც ეწინააღმდეგება ჩემ სურვილს და ქედს არ იხრის მორჩილად ჩემი ბრძანების ასასრულებლად, სახელმწიფოს მოღალატე და დასჯის ღირსია—აი, ამას იძახდა ბიუროკრატია და ამ საფუძველზე გაჭირებული უსპობდა პოლონელებს სამშობლო ენას, სასწავლებლებს, კულტურას, ცდილობდა აღმოეფხვრა გულში წარსულის ხსენება და მომავლის იმედი.

ბიუროკრატია პოლონეთში აშორებდა ერთმანეთს ინტელიგენციას და ხალხის უმეტესობას, ჰგზავნიდა პოლონეთიდან შიდა-რუსეთში ყველას, ვისაც სახელმწიფო სამსახურით უნდა ერჩინა თავი და შიდა-რუსეთში აწინაურებდა კიდეც იმისთვის, რომ უფრო ნიჭიერი პოლონელებიც დახარბებოდნენ სახელმწიფო სამსახურს და მოშორებოდნენ სამშობლოს.

როგორც ვიცით, ბიუროკრატიის ასეთმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა და პოლონეთი დღეს ეროვნულად უფრო ფხიზელია, უფრო შეკავშირებული, ვიდრე წინად, და უფრო მეტის გატაცებითაც ცდილობს ეროვნულ თავისებურობის შერჩენას.

სადაც არ იყო ნება-დართული მწერლობა,—გამრავლდა აკრძალული წიგნები, რომელიც ათასობით შემოდიოდა საზღვარ-გარეთიდან. ვინც ვერ სწავლობდა შინ, გადიოდა ავსტრიაში და იქ იღებდა განათლებას პოლონურ ენაზე, აკრძალული დედაენა უყვარდა ყველას და ხალხმაც, ხალხის უმეტესობამ, რომლის გადმობირებას

ები. მოთხრობა ქბ-ნ ბაგატურისა. 11. ვ. პარონიანი, ცნობილი იუმორისტი, ვ. ბ—ისა. 12. სომეხ ქალების წერილები. 13. ახალი რუსული მწერლობა. 14. ობერლენერი, რომ. რენე ბაზენისა. თარგმ. 15. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 16. ახალი წიგნები. 17. ხელოვნება. 18. შინაური მიმოხილვა. 19. თათრული პრესსა კავკასიაში,—ტიგრანისა. 20. უცხოეთის მიმოხილვა. 21. წერილები რედაქციის მიმართ. 22. ჟურნალ-გაზეთებიდან. 23. განცხადებანი. 24. დამატება. ჯემს მორიერი, იუმორისტი. ჰაჯი-ბაბა სპარსეთში, ინგლის. თარგმანი კარპეტიანისა.

ქუთაისის ცხოვრება

ზოგიერთ ხმოსანთა პროტესტი და საბჭოს ახალი გარდაწყვეტილება.—სამკურნალო საქმეები ექიმთა შორის და მათი ავ-კარგი.

ქალაქის საბჭოში რამდენიმე ხმოსანმა შემდეგი საპროტესტო განცხადება შეიტანა:

„28 მარტს ქუთ. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, „დვორნიკებს" ჯამაგირები მოუმატოს და მათი შტატი გააძლიეროს. ამ დადგენილების ძალით ქალაქს 4310 მან. ხარჯი ემატება. ეს ხარჯი, ჩვენის აზრით, არც ქალაქის ინტერესითა და სხვა რაიმე აუცილებელ მიზეზითაა გამოწვეული.

ქუთაისში ახლა სამხედრო წესებია შემოღებული და, ქალაქის თვით-მმართველობაში მოსულ „უქაზის" ძალით, მთელი ქალაქი სამ ნაწილად არის დაყოფილი აქ მდგომ სამ პოლკს შორის. ამრიგად პოლიციის წინანდელის შტატი სამის პოლკით არის გადიდებული. ამიტომ 20 „დესეტნიკის" მიმატება და ისიც დროებით, როგორც ეს ჩვენ თავმჯდომარისაგან გავიგონეთ კრებაზე, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ქალაქს,—პირიქით, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებს ნივთიერად. დღეს, როდესაც ყველა ბორგავს და შფოთავს, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა დაირღვა, იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ქალაქს წინანდელის ნახევარი შემოსავალი ექმნება და ამიტომ ყოვლად შეუწყნარებელია ქალაქის ხარჯების 500 მან. გადიდება".

ამ განცხადების წარმდგენი ხმოსნები თხოულობდნენ, რომ საბჭოს ხელახლა გაესინჯა წინანდელი დადგენილება შესახებ საპოლიციო სუბსიდიის გადიდებისა და უარეყო მაშინდელი გადაწყვეტილება.

11 აპრილს ეს საკითხი ირჩეოდა საბჭოში. წინანდელი გადაწყვეტილება მართლაც ხელმეორედ გადასინჯეს და, როგორც დეპეშით ვაცნობეთ, ხმის უმეტესობით უარჰყვეს.

* * *

31 მარტს ექიმებმა კრება გამართეს. ამ დღისთვის ახალ თავმჯდომარეს ექიმს დ. ნაზაროვს სათათბირო საგნად სამგვარი საკითხი დაენიშნა: 1) რა როლს უნდა ასრულებდეს „ქუთაისის ექიმთა საზოგადოება" ხალხის მკურნალობის საქმეში ქუთაისის გუბერნიისათვის; 2) ქალაქის არსებულ სამკურნალოს ანგარიში და მისი ბედ-იღბალი, და 3) ახლად გარდაცვალებულ ექიმ მ. ძნელაძის სახსოვარი.

ქუთაისშიო,—სთქვა თავმჯდომარემ,—არსებობს საგუბერნიო-სასანიტარო კომიტეტი, რომელიც განაგებს სამკურნალო საქმეს მთელ გუბერნიაში. ამ კომიტეტში უმეტესობა სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი არა ექიმებია და, მაშასადამე, საექიმო საკითხების გადაწყვეტა ისეთის საფუძვლიანობით არ შეუძლიანთ, როგორც ეს სამეცნიერო საზოგადოებას მოეთხოვება. ასეთი საზოგადოების სახელით კი ჩვენი „საექიმო საზოგადოება" არსებობს აქ, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ არაფერს გვეკითხებიან არც სამეცნიერო პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტის დროს. სოფლებისა და საზოგადოდ გუბერნიის მდგომარეობა ჩვენ, ექიმებმა, უფრო ვიცით, ვინემ იმ მოხელეებმა, რომელნიც ამ კომიტეტში არიან; მათ წელიწადში ერთხელაც არ მოუხდებათ სოფლად გავლა, ხალხის ავისა და კარგის გაგება. ამიტომ საჭიროა დავადგინოთ, რომ ამ კომიტეტმა საგუბერნიო საექიმო საქმეები ჩვენ გადმოგვცეს, ან ჩვენთან ერთად იმოქმედოსო.

ამაზე ექიმმა პ. დონდარომ უარი განაცხადა,—ჩვენ ამ საქმეებს კიდევ უფრო ვერ გავუძღვებით და ვერას გავაკეთებთ, რადგან იგი მთელ ორგანიზაციას მოითხოვს თავის ხარჯებით, და ეს კი ჩვენ არ შეგვიძლიან. ესეც არ იყოს, სოფლის ხალხის ავ-კარგისა და საჭიროებათა ცოდნაში თუ თავი ვერ გამოუჩენიათ იმ ბიუროკრატებს, რომელთაგანაც საგუბერნიო კომიტეტი შესდგება, ვერც ჩვენ ვიქებთ ამით თავს. ჩვენი, ექიმების, უმრავლესობა ხალხს არ იცნობს, მასთან დაახლოებული არაა. თითო-ოროლჯერ თუ სოფლად ან ქალაქად საჭიროდ ავადმყოფებს სინჯავენ, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ. ამისთვის მე ვარჩევ, ეს საქმე თვით საზოგადოებას გადაეცეს და მან შექმნას თავიანთ შორის ორგანიზაცია ქალაქებსა და მაზრებში და ისინი, თუ საჭიროდ დაინახვენ, მომართავენ ჩვენს კომპეტენციასაც.

რის კომპეტენციაო, რის ავტორიტეტული დაწესებულება, რით დავიმსახურეთ ჩვენ ეს სახელი, რომ ვისმე ჩვენთვის მიემართოთ,—სთქვა მაზრის მოხელე-ექიმ ფიგნერმა; ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. თავმჯდომარემ წაიკითხა მოკლე მოხსენება ქუთაისის ექიმთა საზოგადოების მომავალ მოქმედების პროგრამის შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა:

ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა შუამდგომლობა აღვძრათ, რომ, თუ საგუბერნიო კომიტეტები, ხოლერის მოლოდინის გამო, რაიმე ზომებს მიიღებს, ჯერ ჩვენს საზოგადოებას შეეკითხოს, რათა ამ მოქმედებაში ერთნაირი საშუალებანი ვიღონოთო. რასაკვირველია, ყოველივე ეს მაშინ მოხერხდება, თუ ყველა ჩვენთაგანი განიმსჭვალება იმ აზრით, რომ გუბერნიაში სამკურნალო საქმის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა კერძო პირების საქმე როდია, არამედ მთელის სამკურნალო კორპორაციისაო.

უბედურებაც ის არისო,—სთქვა, სხვათა შორის ამის საპასუხოდ ექიმ ვაშაკიძემ, რომ დღეს ჩვენ სატუჩე (ნამორდნიკ) გვაქვს გაკეთებული და გვეუბნებიან, თქვენ საზოგადო საჭიროება გაჭირებაზე არაფერი სთქვათო, და ჩვენც ვსდუმვართ, როცა ყველანი ყვირიან.

ამ საპროგრამო საკითხების შესახებ ლაპარაკი ექიმებმა შემდეგ კრებისთვის გადასდეს და, უეჭველია, ეს უფრო საინტერესო კრება იქნება მათი „საზოგადოების" ცხოვრებაში. ამათ კრებაზე ერთი კარგი ჩვეულება შემოიღეს: კრებები საჯაროა და არა ექიმებიც ესწრება. წარსულ კრებაზე მანდილოსნებსაც გაებედათ მოსვლა. ეს კი აქაურ მანდილოსნებში მიღებული არაა, რაღაცას მორცხვობენ.

ამ კრებაზე დ. ნაზაროვმა წაიკითხა ქალაქის უფასო სამკურნალოს შესახებ ანგარიში.

უფასო სამკურნალოს დაარსება იმ გარემოებამაც გამოიწვიაო,—სთქვა მან,—რომ იმ დროს ექიმთა უმრავლესობა რუსობა იყო და მცხოვრებლებს ვერას აგებინებდნენო. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ, ერთი ცენტრალური სამკურნალო დაარსებულიყო, იქ ქართველი ფერშალი გვყოლოდა და მის შემწეობით ღარიბ ხალხს დავხმარებოდითო.

ასეთი სიმპატიური განცხადება მთელი 12 წელიწადი გდებული მაშინდელ ქალაქის თვითმართველობის არქივში და მხოლოდ 1892 წ. მრისხანე ხოლერამ აიძულა ქალაქის მამები, გამოეძებნათ იგი და საბჭომ ნება დართო გამგეობას ხსენებულ სამკურნალოსათვის ხარჯი გაეღო და მართლაც, იმ წელიწადს პოლიციის სამმართველოს ორიოდე ოთახში გაიხსნა ეს სახალხო დაწესებულება.

ამასობაში ს. თოფურიას საავადმყოფოც დაარსდა და სახალხო სამკურნალოს ყოფნა საეჭვოდ გადაიქცა: ეს რაღად გვინდაო,—ამბობდნენ საქმის ზერელა მაყურებელნი და ის კი ავიწყდებოდათ, რომ თოფურიას კერძო საავადმყოფო იმ თავითვე ღარიბებისათვის ხელმიუწვდენელი იყო. სიმონ ლორთქიფანიძისა, ს. ხიჩინოვისა და სხვათა მეოხებით სამკურნალომ დღევანდლამდის მოაღწია, თუმცა დღესაც დიდ გაჭირვებაშია. ეს გასაჭირი კი **ექიმების დაუხმარებლობაა**. სამწუხაროდ, იმ 30—40 ექიმში, რომელიც დღეს ამ საზოგადოების წევრია, ხუთიოდე თუ ახმარებს თავის შრომას ამ სამკურნალოს; დანარჩენები კი გულგრილად უყურებენ ამ სახალხო ჯანმრთელობის საქმეს და თითო საათს არ იმეტებენ მის საკეთილდღეოდ. ამისთვის საჭიროა, რომ ეს სამკურნალო გავიხადოთ ჩვენ საყვარელ შვილად და თითოეული ჩვენგანი ემსახურებოდეს მის ინტერესებს და მით შევასრულოთ მის დაფუძნების დროს ნაკისრები მოვალეობაო.

ექ. ნაზაროვის სიტყვით, უფასო სამკურნალოთი დღემდე უსარგებლნია 120,337 ავადმყოფს და ყვავილი აუცრია 17,731; ამათგან თვით ქალაქის მკვიდრი ყოფილა 85,709, ხოლო სხვადასხვა სოფლებიდან საექიმოდ მოსულნი 34,708 ავადმყოფი; მათ შორის მამაკაცები ყოფილან 57,135, დედა-კაცები—40,609, ხოლო ბავშვები 22,437. კიდევ დაწვრილებითი სასტატისტიკო ციფრები გვიჩვენებს, რომ აქედან 8,121 თავად-აზნაურთაგანი ყოფილა, 74,521 გლეხი, 22,777 ვაჭრები და 13,254 ხელოსნები.

უფასო სამკურნალოს საჭიროებას და მის დახმარებას ეს ციფრებიც აშკარად ღაღადებს და, ვნახოთ, ქალაქი რამდენად დაეხმარება.

დასასრულ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს ახლად გარდაცვლებულ ექიმ გ. ძნელაძეს, რომლის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და სათანაგრძნობო მოგონება წაიკითხა ექ. ს. ჩარექოვმა.

ის.—არიძე.

ყოველგვარ მოფერებით ცდილობდა მთავრობა, ბოლოს შეიგნო, რომ ეს მოფერება არ იყო გულწრფელი, რომ იგი დროებითია, რომ ხალხის უმეტესობა უნდა ბიუროკრატიას მხოლოდ იმისთვის, რომ მოსპოს პოლონელებში ეროვნული თავისებურობა და დამოუკიდებელ ცხოვრების სურვილი.

გაძლიერდა ეროვნული მიმართულება. ეს მიმართულება წინად ფეხს იკიდებდა მხოლოდ ინტელიგენციაში და ამიტომ არ იყო ძლიერი. ინტელიგენცია ერის მხოლოდ ერთ უმცირეს ნაწილს შეადგენს და ამიტომ მისი განცალკევებული მოქმედება არაოდეს არ იქნება მკვიდრი და მომავლის შემქმნელი.

ეროვნული მიმართულება მხოლოდ დაიბადა ინტელიგენციაში, შემდეგ ერის უმეტესობაში გადავიდა.

ეროვნულ მიმართულებას დემოკრატიული ხასიათი მიეცა,—ეროვნულ მიმართულებას დაადგა პოლონელ ერის უმეტესობა და ახლა, როდესაც რუსეთში ყოველმა ერმა ხმა მაღლა დაიწყო თავის ეროვნულ იდეალების გამოთქმა, როდესაც ერის ყოველი ჯგუფი ამ იდეალებს ამჟღავნებს, პოლონეთშიაც უფრო ძლიერი შეიქნა დემოკრატიული ხმები და მათ გეგმას და იდეალებსაც მეტი მომხრე გამოუჩნდა პოლონელებში.

ყველა პროგრამას, ყველა დასს, ყველა ადამიანს პოლონეთში ერთი აქვს საერთო—ყველა საერთოდ მოითხოვს, რომ იქმნეს შემოღებული პოლონეთის ავტონომია, აღდგენილი პოლონურ ენის უფლება, რომ პოლონეთის მართვა და გამგეობა პოლონელების ხელშივე გადავიდეს.

ამას მოითხოვს სხვადასხვა დასი, მოითხოვს ამას პროგრესიულ-დემოკრატიული დასი, რომლის გეგმა იყო ამას წინად მოთავსებული „ივერიაში", ამასვე ამბობენ სხვებიც. და აქ პოლონელთა ეროვნულ მისწრაფებათა დასახასიათებლად მოგყავს ეროვნულ-დემოკრატიულ დასისაგან გამოცემული პროგრამა:

1) პოლონური ენა საზოგადო ცხოვრებაში, ადმინისტრაციასა და სასამართლოში ოფიციალურ ენად უნდა შემოვიდეს. ყველა სასწავლებელში სწავლება უნდა სწარმოებდეს პოლონურ ენაზე.

2) უნდა შემოვიდეს ყველა სარწმუნოების სრული თანასწორობა.

3) სახელმწიფო სამსახურში ადგილობრივ პოლონელებს უნდა იღებდნენ.

4) მშვიდობიანობის დროს სამხედრო ბეგარა ყველამ თვით პოლონეთში უნდა გადაიხადოს და სხვაგან არ უნდა იგზავნებოდეს.

5) უნდა იქმნეს შემოღებული ადგილობრივი თვითმართველობა, რომელშიაც ხალხის ყველა ნაწილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

6) მთელ რუსეთში უნდა მოისპოს ყველა განსაკუთრებული კანონი, პოლონელების საწინააღმდეგოდ გამოცემული, უნდა მოისპოს პასპორტები, პოლონელებს უნდა მიენიჭოს პირადი და სამოქალაქო უფლებები და საამისოდ თავდაპირველად უნდა იქმნეს გამოცხადებული პიროვნებისა და კერძო სადგომის ხელუხლებლობა, სიტყვის პრესსის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება.

7) პოლონეთის შინაური წყობილება, ე. ი. კანონთმდებლობა, ადმინისტრაცია, სასამართლო და სწავლა-განათლების საქმე უნდა იყოს მოწყობილი პოლონელთა განსაკუთრებულ ხასიათისა და ისტორიულ ტრადიციების მიხედვით. პოლონეთს უნდა ჰქონდეს ცალკე სახელმწიფო შემოსავალ-გასავალიც. ამ რეფორმის შემუშავება უნდა მიენდოს ისეთ პირებს, ვინც კარგად იცის პოლონეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და ვისაც ენდობა ხალხი. ამიტომ ეს პირები თვით ხალხისაგან არჩეული უნდა იყვნენ უთუოდ.

პრესსა

რუსეთის ხალხი მოუთმენლად მოითხოვს წარმომადგენელთა კრების მოწვევას, მაგრამ ბიუროკრატია ჯერ-ჯერობით არ ჩქარობს. პირიქით, ახლა ისევე უკრძალავენ რუსეთში ყოველგვარ კრებებს და ქალაქების საბჭოებს ნებას არ აძლევენ ითათბირონ 18 თებერვლის რესკრიპტის შესახებ. ერთის სიტყვით, მთავრობას უნდა ჯერ დაამშვიდოს ხალხი და მხოლოდ ამის შემდეგ წარმომადგენელთა მოწვევას შეუდგეს. გაზ. „ნოვოსტი" ამბობს ამაზე:

„წარმომადგენელთა მოწვევის გადადებას სულ სხვა შედეგი მოჰყვება.

„ხალხი აღელვებულია, აღელვებულია სწორედ იმიტომ, რომ ბიუროკრატიამ ვერ შესძლო სახელმწიფო საქმეების რიგიანად გაძღოლა. ყველა ჰფიქრობს, რომ ახალ წესწყობილების შემოღებას საქმის გაუმჯობესება მოჰყვება. ამიტომ ეხლანდელ წყობილების შერჩენა აღელვებს ხალხს და საჭიროა მალე მოეღოს ბოლო ამნაირ მდგომარეობას. საჭიროა ახლავე შესრულდეს ხალხის სურვილი. არ შეიძლება ვიქონიოთ ხალხის დამშვიდების იმედი საქმის გადადებითა და ყოყმანით, ახალ იმედების მიცემით".

მხოლოდ ცხოვრებასთან დაშორებულ ბიუროკრატებს შეუძლიანთ დღეს კიდევ იქონიონ იმისი იმედი, რომ ორიოდე კრების დახურვით, საჯაროდ უკმაყოფილების გამოცხადების აკრძალვით შეიძლება დამშვიდდეს ხალხი და მის სურვილების განხორციელებას მშვიდობიანი მსვლელობა მიეცეს...

* * *

რუსეთის 1904 წ. შემოსავალ გასავალი, ფინანსთა სამინისტროსაგან დაბეჭდილი, ზოგიერთ გაზეთს, როგორიც არის, მაგ., მთავრობის „საფინანსო უწყება", მოსწონს,—დანარჩენებს, სამაგიეროდ, ათქმევინებს ბევრ საგულისხმო შენიშვნას. გაზ. „რუსსკოე სლოვო", მაგ., ამტკიცებს, რომ საფინანსო უწყების სიტყვები—ომიანობამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია რუსეთის ფინანსებზეო,—სასაცილოა და ყველასათვის დაუჯერებელი.

„საფინანსო უწყება დაეჩვია იმას, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში ყოველთვის შემოსავალი ხარჯზე მეტი ყოფილიყო და ამტკიცებდა, ეს ზედ-მეტი შემოსავალი ხალხის სიმდიდრის მომასწავებელი არისო. 1904 წლის განმავლობაში, საფინანსო უწყების სიტყვით, მეტი იყო შემოსავალი, ვიდრე 1903 წ. და საფინანსო უწყებას ან მის მომხრე „საფინანსო ჟურნალს" ჰგონია, რომ ეს სასიამოვნო მოვლენა არის. ხალხი ომიანობის გამო შეწუხდა, გაღარიბდა, უწინაც ღარიბი—ახლა სულ გაღატაკდა და ამნაირ დროს იძულებულია კიდევ ხაზინის სასარგებლოდ იხადოს იმაზე მეტი, რასაც წინანდელ წლებში იხდიდა. ხაზინას ზედ-მეტი ფული ურჩებოდა ხანდუკში, ხალხი კი ულუკმა-პუროდ რჩებოდა,—ეს არის განა გონიერი საფინანსო პოლიტიკა და განა შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ რუსეთი დიდხანს შესძლებს ამნაირ მდგომარეობის ატანას? აკი გამოჩნდა კიდეც ხალხის მდგომარეობის უყურადღებოდ დატოვების შედეგი,—ხალხი აღელდა და ითხოვს იმათ გადაყენებას, ვინც იგი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. საფინანსო საქმე ისეთი ადვილი არ არის, როგორიც ჰგონია რუსეთის საფინანსო უწყებას, რომელმაც უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მშრომელი ხალხი".

ასეთსავე მწვავე საყვედურს ამბობენ სხვა გაზეთებიც. ყველა ერთხმად ამბობს, რუსეთს გაკოტრება მოელის, ხალხი დაჩაგრული არისო, მაგრამ გამგონი არა სჩანს და ბიუროკრატია მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობს და ცდილობს შეირჩინოს ბატონობა რუსეთში...

გაზ. „მშაკის" აზრი ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

რაკი ახლა კავკასიის ერებისთვის აუცილებელი შეიქმნა საერთო მოქმედება უკეთეს მომავლის მოსაპოვებლად, ამიტომ საჭიროა ერთმანეთის უკედ გაცნობა, ერმანეთის იდეალების მეტი გაგება, საჭიროა ვიცოდეთ, რა თვალით უყურებს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი კავკასიაში ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას, და სწორედ ამიტომ ვბეჭდავთ ქვემოდ გაზ. „მშაკის" წერილს, გამოწვეულს კავკასიის ახალ ნამესტნიკისაგან გენერალ მალამას სახელზე გამოგზავნილ დეპეშით. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რომ გაზ. „მშაკი" არ არის მთელ სომხობის წარმომადგენელი და სომხების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება გაზ. „მშაკის" ოპპორტიუნისტობას. ეს გაზეთი საზოგადოდ ყველა განკარგულებაში ეძებს და ჰპოვებს არა თუ სანუგეშო მოვლენას, არამედ „გაზაფხულს", „სანეტარო მომავალს" და გაიძახის, „მეტი რაღა გვინდაო", როდესაც შორიდან ხედავს რამე უფლების ნასახს.

დიდი ხანია ველოდით!..

ველოდით გულის ფანცქალით, მძიმე უღლის ქვეშ, იმედ-გადაწყვეტილნი, გულ-გატეხილნი, ველოდით იმ დროს, როდესაც განთავისუფლების ჟამი დაგვიდგებოდა.

ეხლა მოვიდა ის ჟამი,—ის საისტორიო ჟამი, რომლის მნიშვნელობა დღესაც კიდევ სავსებით შეგნებული არა გვაქვს. ვგრძნობთ მხოლოდ, რომ ჩვენ მრავალ-ტანჯულ სამშობლოსთვის დგება ახალი ხანა და ეს გრძნობა ამჟამად უმთავრეს საკითხად გადიქცა...

ყოველმა ჩვენთაგანმა იცის კარგად, თუ რა ნაირ-ნაირი საჭიროება აწუხებს ამჟამად საზოგადოებას, რომელიც, აგერ რამდენი წელიწადია, იტანს ყოველგვარ სატანჯველს. დღეს ნამესტნიკის სიტყვით საზოგადოებას მტკიცედ ჰპირდებიან, რომ მის სატანჯველს უნდა მოეღოს ბოლო.

წინედ არა-სანდო პირებად გვთვლიდნენ, და ჩვენი ხალხი სხვის მძიმე აპეკუნობის ქვეშ იმყოფებოდა. დიდ ცოდვად ითვლებოდა ჩვენი სურვილების მოსმენა და მათი დაკმაყოფილებაც.

ვთხოვდით პურს და ქვას კი გვაძლევდნენ. არ გვქონდა თავისუფალი ცხოვრების უფლება და არ შეგვეძლო გვეცხოვრა ისე, როგორც შვენის იმ საზოგადოებას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა.

დღეს გვეჩნდობიან ისევე... დღეს გვეუბნებიან, რომ გამოვარჩინოთ ჩვენი საკულტურო ძალები და ამ ძალებზე უნდა ააგონ ახალი მართვა გამგეობის შენობა...

სუსხიან ზამთრის დროსაც ვიცოდით, თუ რა საშუალებით შეიძლება გაზაფხულის შექმნა, ვიცოდით, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადო ძალთა მოწვევით, და ყველა ეროვნების სოლიდარ მოქმედებით სამოქალაქო ცხოვრების მართვაში შეიძლებოდა ზამთრის ადგილს მხიარული გაზაფხულის შექმნა.

ამ ძლიერ განმათავისუფლებელ ძალას ახლა გვანიჭებენ და უნდათ, რომ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილმა, ეროვნების განურჩევლად, ამოვირჩიოთ წარმომადგენლები იმის გამოსარკვევად, თუ რა არის ამ ჟამად ჩვენი ქვეყნისათვის უფრო საჭირო.

სხვა რაღა გვინდა.

კაცობრიობას ჯერ ამაზე უკეთესი არაფერი გაუგონია საზოგადოების სხვადასხვა იარის განსაკურნებლად.

ჩვენც ახლა დავადგეთ ამ გზას და ჩვენი საუკეთესო ძალებიც წამოვაყენოთ,—საამისო დრო დადგა.

ოფიციალურად ჩვენი უფლებები გამოგვიცხადეს,—ტკბილი უფლებები,—მაგრამ ამ უფლებებთან არის დაკავშირებული მოვალეობაც. საამისოდ კი არის საჭირო შრომა, საქმიანობა, ვინაიდან მხოლოდ ამაზე შეგვიძლია ჩვენი მომავალი ავაგოთ.

ამიერიდან ყველაფერი ჩვენზედვე იქმნება დამოკიდებული და, თუ ვერ გავაკეთეთ რამე, ჩვენივე ბრალი იქმნება... უნდა წავიკითხოთ ბ-ნ ნამესტნიკის დეპეშა, ჩავუკვირდეთ მას და დავინახავთ, თუ რა ძნელი მოვალეობა გვაწევს ამ ჟამად კისერზე.

დღემდის თითქმის არაფერი არ გაგვიკეთებია, ვცხოვრობდით განმარტოებით, არ ვენდობოდით ერთმანეთს...

ამ საისტორიო წამში გულწრფელად გვიხარია და ვშიშობთ, ესმით თუ არა სომხებს, ქართველებსა და თათრებს სოლიდარობის, ძმობის, ერთობისა და საერთო მოქმედების ნამდვილი მნიშვნელობა, ესმით თუ არა ერთმანეთის საჭიროება, უყვართ თუ არა ერთმანეთი, ვინაიდან მხოლოდ ამას შეუძლიან მიგვიყვანოს განთავისუფლების კარამდის. ვშიშობთ, რომ ყოველივე ეს არ არის იმდენად გაერცელებული, რამდენადაც ჩვენთვის სასურველია. მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საცოდავი წარსულით იმდენად მოზხამული არ იყოს საზოგადოება, რომ კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდეთ.

ასე თუ არ არის და ჩვენი შიში თუ უსაფუძვლოა, იმ შემთხვევაში საჭიროა ახლავე ენერგიული მოქმედება მომავლისთვის მოსამზადებლად. უნდა ვიხილოთ სომხების, ქართველებისა და მაჰმადიანების ერთმანეთში დაახლოვება საერთო ცხოვრების საფუძვლის შემუშავების საქმეში.

მეტი მოცდა არ შეიძლება; მცონარად და უგულოდ გაჩერება საზიზღარ ცოდვად ჩაეთვლება ყველა ჩვენთაგანს...

მოვემზადოთ, მოვემზადოთ ერთმანეთი, ვიშრომოთ საზრიანად და დაუღალავად.

ახლა ან არაოდეს!

დიდი მოვალეობა გვაწევს კისერზე, დაგვიდგა წამი...

გაფიცვის გამო სამუშაოზე მიუსვლელობის იურიდიული შედეგი.

რუსეთში, სადაც ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა მუშების გაფიცვა, მუშებმა აქა-იქ საჩივარი დაუწყეს მექარხნეებს იმის გამო, რომ მექარხნეებმა აღარ მიიღეს საქმეზე—ყველა ის მუშა, რომელიც გაფიცვაში იღებდა მონაწილეობას.

სამრეწველო დებულების 95 მუხლის ძალით, პატრონმა თუ მოისურვა რომელიმე მუშის დათხოვნა, ორის კვირით ადრე უნდა გამოუცხადოს თავისი სურვილი, და თუ უნდა მაშინვე მოიშოროს იგი, ორის კვირის ჯამაგირი უნდა მისცეს მუშას დათხოვნისთანავე.

მექარხნეები ამტკიცებდნენ, ვალდებული არავართ ვაძლიოთ რამე ამნაირ მუშებს, ვინაიდან, იმავე სამრეწველო დებულების 105 მუხლის ძალით, მუშა ჰკარგავს თავის სამსახურს „სამის დღის განმავლობაში თუ არ გამოცხადდა საქმეზე" საპატიო მიზეზების აუხსნელად.

ამიტომ ახლა სასამართლოს გადასაწყვეტი შეიქმნა საკითხი,—ითვლება თუ არა საპატიო მიზეზად საერთო გაფიცვა.

რუსეთის სისხლის სამართლის კანონები გაფიცვას დღემდის რაღაც ბოროტ-მოქმედებად სთვლიან, გაფიცვაში მონაწილეობის მიღებაზე სასჯელიც არის კანონში.

სენატის განმარტებით, გაფიცვაზე არ უნდა იყოს სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მუშები ვალით არ არიან დაქირავებულნი. არ ისჯებიან აგრეთვე გაფიცულები იმ შემთხვევაში, პოლიციის პირველისავე ბრძანებით თუ შეუდგნენ ისევე საქმეს.

საზღვარ-გარედ, ყველა განათლებულ ქვეყანაში, მუშა ხალხს მინიჭებული აქვს გაფიცვის სრული თავისუფლება და ამიტომ იქ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ვინმე დაისაჯოს გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გულისთვის.

რუსეთშიაც იშვიათია გაფიცვის გამო ადამიანის სისხლის სამართალში მიცემა და თანდათან იკიდებს ფეხს ახალი შეხედულება, რომლის ძალითაც გაფიცვა საზოგადოებრივ მოვლენად ითვლება, კერძო ადამიანის სურვილზე სრულებით დამოუკიდებლად. ამიტომ ამბობენ, რომ კერძო პირი გაფიცვის გამო არ უნდა ისჯებოდესო კანონით.

როდესაც მექარხნე ორის კვირის ჯამაგირს არ აძლევს მუშას იმის გამო საბუთად ის აქვს, ვითომც მუშა საპატიო მიზეზის დაუსახელებლად სამის დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამუშაოდ და ამიტომ სამსახურიდან თავის ნებით წასულად უნდა ჩაითვალოსო, მუშები ამაზე უპასუხებენ, საქმეზე თუ არ გამოვდიოდით, ჩვენი ნებაც არ იყოო, ამის მიზეზი იყოო ხალხი, მუშების საერთო გაფიცვა. ყოველივე მუშის კერძო ხმა უმნიშვნელოა მუშების საერთო სურვილთან. კერძო ადამიანს, ცალკე მუშას, არ შეუძლიან გაფიცვის დაწყება და ამიტომ იგი ვერ იქმნება ამაში პასუხისმგებელი.

მაგრამ ამასთან ერთად ცალკე მუშას გაფიცვის გაჩერებაც არ შეუძლიან და ამიტომ უკანონობაა დავსაჯოთ იგი იმისთვის, რომ გაფიცვა არ გათავებულა და მუშა ვერ გამოცხადდა საქმეზე.

არ შეიძლება მოვსთხოვოთ მუშას, არავითარი ყურადღება არ მიაქციოს ამხანაგების მუქარას და გავიდეს საქმეზე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გათავებული გაფიცვა, ან რა მუშის ბრალია, როდესაც ქარხნის პატრონი, ქარხნის განადგურების შიშით, ჰკეტავს დროებით თავის ქარხანას და შიგ არ უშვებს არავის, მანამ არ გათავდება გაფიცვა,—რა მუშის ბრალია, ამნაირ პირობებში თუ ვერ გამოცხადდა საქმეზე?

ამიტომ გაფიცვის დროს საქმეზე მოუსვლელობა სამსახურიდან წასვლის საბუთად არ გამოდგება და ამიტომაც არ შეიძლება მექარხნეს სამრეწველო დებულების 105 მუხლის ძალით, მივანიჭოთ უფლება, საქმეზე სამის დღის მოუსვლელობის გამო დათხოვნილად ჩასთვალოს მუშა, როდესაც მოუსვლელობის მიზეზი ყოფილა გაფიცვა.

ცხადია, რომ ამნაირ შემთხვევაში ყველა დათხოვნილ მუშას ეძლევა უფლება ორის კვირის ჯამაგირი მოსთხოვოს მექარხნეს.

რუსის კანონი ჯამაგირის მიცემის მოვალეობას არ ავალებს მექარხნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშა ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდა საქმეზე,—საპატიო მიზეზიც რომ ჰქონდეს—მაშინაც. ამიტომ გაფიცვამ ორ კვირას თუ გასტანა და მუშა საქმეზე თუ არ გამოცხადდა, პატრონს შეუძლია დათხოვნილად, სამსახურიდან წასულად ჩასთვალოს იგი და მოიშოროს ჯამაგირის მიუცემლადაც. მეორე მხრივ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, რომ ქარხნის პატრონი გაფიცვის გამო ჰკეტავს ქარხანას და ითხოვს მუშებსაც, მაგრამ ამნაირ შემთხვევაშიაც იგი ვალდებულია დაურიგოს ორის კვირის ჯამაგირი დათხოვნილ მუშებს.

სამრეწველო დებულების 104 მუხლის ძალით, მუშის დათხოვა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ქარხანა შვიდის დღის განმავლობაში გაჩერებული შეიქმნა მანქანების წახდენისა ცეცხლისა, წყალდიდობის ან სხვა ამნაირისავე მიზეზის გამოც.

გაფიცვის გამო საქმის გაჩერება კანონში არ არის მოხსენებული,—კანონში მხოლოდ იმნაირი შემთხვევებია ჩამოთვლილი, სადაც მუშაობა შეწყვეტილია მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელი ხდება მუშაობა ქარხნის რომელისამე ნაწილის წახდენის გამო.

გაფიცვის დროს კი ქარხანა მთელია, მანქანა თავ-თავის ადგილზეა გაჩერებული და მუშაობა გაჩერებულია იმნაირი მიზეზით, რომელიც არ არის დამოკიდებული არავის სურვილზე. გაფიცვა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზებით არის გამოწვეული.

უკანასკნელ ხანებში სასამართლოც ამავე მიმართულებას დაადგა და რუსეთში გაფიცვის გა-

მო დათხოვნილ მუშებს მიუსაჯა პატრონებისგან ერთის კვირის ჯამაგირი, მოხსენებული კანონში. („პრავო“).

რუსეთი

მოსკოვის საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ ნამყოფმა, რადიკალად მიჩნეულმა შიპოვმა, ახალი **პოლიტიკური პარტია შეადგინა**. წინად, „გაზაფხულამდე“, ერობის მოღვაწეთა უმეტესობა შიპოვის დირიჟორობით მოქმედებდა და მემარცხენე დასს შეადგენდა, ეხლა კი უმეტესობამ უფრო მარცხნივ გაიწია, შიპოვი და უმცირესობა კი მემარჯვენეთა ცენტრში დადგნენ. ამ დღეებში ამ პარტიის კრება მოხდა. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: რადგან ხალხის წარმომადგენლობა თვითმპყრობელობის იდეას არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, თვითმპყრობელობის არსებობისთვის საჭირო ორგანოს შეადგენს, ამიტომ მომავალი საერო კრება პარლამენტს კი არ უნდა ჰგვანდეს, რათა ხელმწიფის უფლება არ შეზღუდოს, არამედ ხალხის აზრის გამომხატველი უნდა იყოს (რ. ვ.).

✦ საგვარდიო ჯარსა და მეზღვაურებს შემდეგი ბრძანება მისცეს: ხელს ნუ მოჰკიდებთ იმ ფურცლებს, რომლებსაც სახლებსა და ქუჩებში არიგებენ; **ყურს ნუ უგდებთ იაპონელთა ამხანაგებს (?)—სოციალ-დემოკრატებს**, სეირნობის დროს მოეცალეთ და ახლოს ნუ მიეკარებით; ნუ კითხულობთ მოწოდების ფურცლებს; თუ სოციალ-დემოკრატები ყაზარმაში შემოვიდნენ და ლაპარაკი დაგიწყონ, ხელი სტაცეთ და მთავრობას წარუდგინეთ (ს. ო.).

✦ 3 აპრილს დაატუსაღეს პეტერბურგის კონსერვატორიის 101 მოწაფე, რომელნიც შემდეგ ისევ გამოუშვეს. პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ბრძანება გასცა, ყველა ებრაელი, რომელიც კი კონსერვატორიაში სწავლობს, **ეხლავ პეტერბურგიდან უნდა წავიდესო**. პეტერბურგის კონსერვატორიაში უმეტესად ებრაელები სწავლობენ (რ. ვ.).

✦ ოდესაში ფილოლოგიურ საზოგადოების კრებაზე რამდენიმე ასი კაცი დაესწრო. საზოგადოების საბჭომ გაუბედავის კილოთი დაწერილი პეტიცია შეიმუშავა. ამან დამსწრე საზოგადოება ააღელვა, საბჭო გაჰკიცხა და ის აზრი გამოსთქვა, რომ **ეხლა თხოვნის დრო კი არ არის, არამედ მტკიცე მოთხოვნისა** (требовать, а не просить). საზოგადოებამ შემდეგ ჯერ ზალაში მოახდინა დემონსტრაცია, მერე მთავარ ქუჩაზე გავიდა და შესაფერის სიმღერებით გაისეირნა (რ. ვ.).

✦ კიევის ლიტერატურულ-არტისტიულ საზოგადოების თავმჯდომარემ კიევის სამოსწავლო ოლქის უფროსისაგან ბრძანება მიიღო, მწერალს ფეიგინს საზოგადოების დარბაზში მოთხრობის წაკითხვის ნება არ მისცეთ, **რადგან ფეიგინი ებრაელიაო** (ს. ო.).

✦ პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ დავით ვაჯუს ციხეში ოთხი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. ბრალსა სდებდნენ, **რუსეთში არსებულ სახელმწიფო წესწყობილების მოსპობას ჰქადაგებდაო**. 1904 წელს ვაჯუმ ლიბავაში გლეხს ადამსონს ხალხში გასავრცელებლად ორი ბროშიურა გადასცა: „სოციალ-დემოკრატია“ და „რით ცხოვრობს ხალხი“. იმავე დროს ვაჯუმ ქ-ნს გალგუტს გადასცა 22 პროკლამაცია შემდეგის სათაურით: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“ (რ. ვ.).

✦ კიევის სამოსამართლო პალატამ ბერლიაკოვს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა იმიტომ, რომ 1904 წ. 17 თებერვალს კიევის თეატრში წარმოდგენის დროს ბერლიაკოვმა **ხალხში სარევოლუციო პროკლამაციები გადაჰყარა**. პროკლამაციას სათაურად ეწერა: „უკვე 40 წელმა განვლო“; თავდებოდა შემდეგის სიტყვებით: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რევოლიუციას!“ (რ. ვ.).

✦ „რიჟ. ვესტ.“-ის სიტყვით, ესტლიანდიის გუბერნიის სოფლებში უკანასკნელ დროს აუარებელ პროკლამაციას ავრცელებენ და **პოლიტიკურ ცვლილების მოსახდენად ხალხს ასაჯანყებლად იწვევენ**. წესიერების აღსადგენად სოფლებში ჯარი გაიგზავნა (რ. ვ.).

✦ ამას წინად მოსკოვსა და პეტერბურგში მრავალი **პოლიტიკური საქმე გაარჩია** სასამართლომ. ბრალდებულებმა ვექილების მოწვევა არ ისურვეს და თავს თვითონ იმართლებდნენ (ს. ო.).

✦ ტომსკის იურიდიულმა საზოგადოებამ აუარებელ ხალხის თანადასწრებით შემდეგი „**რეზოლიუცია მიიღო**: 1) რუსეთის ყველა მოქალაქენი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, კანონის წინაშე თანასწორნი არიან. წოდებრივი უპირატესობა და უფლებანი ისპობა. 2) ყველა მოქალაქის პიროვნება და სადგომი ხელუხლებელია. 3) მოქალაქეებს ყველგან გადასვლ-გადმოსვლის ნება აქვთ. პასპორტები საჭირო აღარ არის. 4) კერძო კორესპონდენცია ხელუხლებელია. 5) მოქალაქეთ სიტყვისა და წერის თავისუფლება ეძლევათ. ბეჭდვითი სიტყვის შესაფერხებლად მოგონილი ცენზურა და ადმინისტრაციის განკარგულებანი უქმდებიან. 6) პირველდაწყებითი სწავლა სავალდებულო და უფასოა. ყველას, ვისაც კი განათლების ცენზი აქვს, შეუძლიან სასწავლებელი გახსნას. 7) მოქალაქეთ ნება აქვთ ყოველნაირი კრება მოახდინონ და კავშირები შეჰკრან. 8) მოქალაქეთ ნება ეძლევათ ერთად ან ცალ-ცალკე მთავრობას პეტიციები წარუდგინონ. 9) ყველა მოქალაქეს მხოლოდ კანონის ძალით აძლევენ პასუხისგებაში. 10) სასამართლოს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ადმინისტრაციასთან, მოსამართლე დამოუკიდებელია და იმის გამოცვლა არ შეიძლება; მოსამართლეთა არჩევა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ყველგან იქნება შემოღებული. 11) ყველა ზემოდ ჩამოთვლილი უფლებანი უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ სახალხო წარმომადგენელთა მიერ, რომელიც საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით იქნება დაფუძნებული (რ. ვ.).

✦ სამარის საბირჟო საზოგადოებას თავისი წარმომადგენელი უნდა გაეგზავნა კოკოვცევის კომისიაში, რომელმაც მუშათა საკითხი უნდა გამოარკვიოს. საზოგადოებამ წარმომადგენლის გაგზავნაზე უარი განაცხადა, რადგან კოკოვცევის კომისიის მიერ შემუშავებული ზომები **ზედაპირულია და მუშების მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებსო**. საზოგადოების აზრით, ამ საქმის მოწყობა მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთა კრებას შეუძლიან (რ. ვ.).

✦ ყოველ დაწესებულებას, რომელსაც მთავრობა განაგებს, საკუთარი თანხა აქვს (მაგალითად, უნივერსიტეტებსა, სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სხ.). ეხლა მთავრობას ომის საჭიროებისათვის **ამ თანხების სესხება განუზრახავს**. მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტს ერთ მილიონ მანათზე მეტი აქვს (რ. ვ.).

✦ მაქსიმ გორკის დამცველი, ვექილი გრუზენბერგი თხოულობს, **მოწმებად შემდეგი პირნი მოიწვიეთ სასამართლოშიო**: ცნობილი მწერლები კ. არსენიევი, პროფ. სემევსკი, ვექილი კედრინი, პეშეხონოვი, პროფ. კარეევი, მიაკოტინი, გენსენი, ანნენსკი, შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი თ-დი სვიატოპოლკ-მირსკი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვიტტე და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენ. რიძევსკი (ს. ო.).

✦ განზრახულია 22—24 აპრილს მოიწვიონ სრულიად რუსეთის ინჟენერთა და ტეხნიკოსთა კრება. კრებამ მთელი რუსეთის ინჟენრები და ტეხნიკოსები უნდა შეაერთოს. ამ კრების ინიციატივა ინჟენერთა განთქმულ ბიუროს ეკუთვნის (რ. ვ.).

✦ დვინსკიდან „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ: ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. **სააღდგომოდ ებრაელების აკლებას აპირობენ**. ხმა დადის, ვითომ ებრაელებს რუსების ეკლესიის აფეთქება უნდოდეთ. აქ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ სააღდგომოდ «პატრიოტები» ეკლესიასთან მართლა რამეს ააფეთქებენ, რაიც აკლების ნიშანი და მიზეზი იქნება.

კიშინიოვიდან, გომელიდან, ოდესიდან, აკერმანიდან და ბევრ სხვა ქალაქებიდანაც იწერებიან, სააღდგომოდ ებრაელებს აიკლებენო (რ. ვ.).

ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 11 აპრილს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. წაკითხულ იქმნა ოქმები უკანასკნელის ორის სხდომისა.

დღესვე უნდა განხილულიყო ნაძალადევის მოიჯარადრეთა თხოვნა ქალაქის მიწების შესყიდვის შესახებ, მაგრამ რადგანაც ქალაქის მოურავი არ თავმჯდომარეობდა, ამ საკითხის განხილვა გადადეს 26 აპრილისათვის.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. წინადაც მივაქციე საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სხდომების ანგარიში ან სულ არ იბეჭდება გაზეთებში, ან თუ იბეჭდება, ისეა შეჭრილ-შეკვეცილი, რომ საზოგადოებისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ახლა. პეტერბურგში კობეკოს კომისია მუშაობს; საჭიროა ქალაქის მოურავმა აღძრას შუამდგომლობა ამ კომისიის წინაშე, რომ, სანამ საცენზურო კანონებს შეიმუშავებდნენ, ცოტაოდენი შეღავათი მისცენ ჩვენს პრესას. გარდა ამისა, იცის თუ არა გამგეობამ, რომ ხორცის დუქნების კომისიის განკარგულებით ხორცის ერთი დუქანი უნდა დაიხუროს?

თავმჯდ. ეს დადგენილება გამგეობამ უკვე მიიღო, მაგრამ ჯერ არ განუხილავს. ეს დუქანი ჯერ არ არის დაკეტილი.

ხმ. ბაბოვი. აქამდის რატომ არ არის დაბეჭდილი ხორცის დუქნების ანგარიში, ან სარევიზიო კომისიამ ხორცის დუქნების რევიზია მოახდინა თუ არა?

თავმჯდომ. სრული ანგარიში ჯერ არ მიგვიღია. რევიზიის შესახებ კი ამ კომისიის თავმჯდომარე, ხმ. დოლუხანოვი, მოგვიგებს პასუხს.

ხმ. დოლუხანოვი. რადგანაც ანგარიში ჯერჯერობით შედგენილი არ არის, ამიტომ ჩვენც რევიზია შემდეგისთვის გადავდეთ.

ხმ. ბაბოვი. ზოგიერთ სახლის პატრონთ მოსვლიათ მუქარით სავსე წერილები, მეეზოვეები დაითხოვეთო. მეორეს მხრივ არის სავალდებულო დადგენილება, მეეზოვეები იყოლიეთო. სახლის პატრონნი ორს ცეცხლს შუა არიან. საჭიროა ქალაქის საბჭო დაეხმაროს მათ, იშუამდგომლოს, რომ მიეცეთ ნება სახლის პატრონთ, თავი ერთად მოიყარონ და ამ საგანზე მოილაპარაკონ.

თავმჯდ. მე-9 პოლიციის ნაწილის სახლის პატრონთ ამ თხოვნით უკვე მიჰმართეს ქალაქის მოურავს და, მე მგონია, ქალაქის მოურავი იშუამდგომლებს გენ. მალამასთან და ეცდება ამის ნება-რთვა მიიღოს.

ხმ. მირზოევი. ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი და თანაც განაცხადეს, თუ არ დაგვაკმაყოფილეთ, 12 აპრილს მუშაობას ისევ თავს დავანებებთო. თუ მართლა მუშაობას ხვალ თავი გაანებეს, მცხოვრებლები დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდებიან. ამიტომ საჭიროა, ამ საქმეში ქალაქის საბჭომ მონაწილეობა მიიღოს და მოითხოვოს, რომ ტრამვაის დირექცია თავის მოსამსახურეებს როგორმე მოურიგდეს.

თავმჯდ. ტრამვაის მოსამსახურეებმა თხოვნა მისცეს ქალაქის მოურავს და არა საბჭოს. ამ საკითხზე რისიმე გარდაწყვეტა ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან განსახილველად დანიშნულ საქმეებში არ არის შეტანილი.

ხმ. ხუდადოვი. ეს ქალაქის საქმეა. საბჭო მოვალეა ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს. მე ვიცი, რომ ტრამვაის დირექციასა და მოსამსახურეთა შორის შეთანხმება შეუძლებელია. ხვალ უკანასკნელი ვადაა. ხვალ შეიძლება მოსამსახურენი ასევე გაიფიცნენ.

დასასრულ საბჭომ განიხილა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ საბჭოს დადგენილება, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის დახმარების მიცემის შესახებ.

ბევრის ბჭობისა და კამათის შემდეგ, საბჭომ მიიღო ეს დადგენილება, რომლითაც მოსამსახურეებს სააღდგომოდ უნდა მიეცეთ 18,000 მან.

კორესპონდენცია

ს. დიდი-გომარეთი (ბორჩალო). 28 მარტს ს. დიდ-გომარეთში ჩამოვიდა ს. ბაშკიჩეთიდან თრიალეთის პოლიციის ბოქაული ზაალიშვილი თავის „სტრაჟნიკებითურთ“ და გამოჰკითხა გომარელებს წინა დღით მომხდარ დიდ მანიფესტაციის ამბავი, მაგრამ ხალხი ძალიან გულ-გრილად დაუხვდა, თუმცა გამოჩნდა ორიოდე პირი, რომელმაც უღალატა აღთქმულ «ერთობას» და გასცა ამხანაგები. ბოქაულმა მოსთხოვა ხალხს უკანვე დაებრუნებინა კანცელარიის ქაღალდები და სოფლის მოხელეთა ნიშნები. მაგრამ უარი მიიღო. ბოქაული, აქ რომ ვერაფერს გახდა, წავიდა მახლობელ ბერძენთა სოფელ დემურ-ბულაღში და შეატყობინა საქმის გარემოება თავის მთავრობას. იმ ღამეს გომარეთში მოიპარეს ხარი, რომლის ტყავი მეორე დღეს დემურ-ბულაღში მიიტანეს. ხარის პატრონს ამის შესახებ ბოქაულისთვის არ მიუმართნია და ხალხი დაჰპირდა ხარის მომებნას ან მისი ფასის ანაზღაურებას.

30 მარტს ჩამოვიდნენ: მომრიგებელი შუამავალი თ-დი ი. დ. აფხაზი, მაზრის უფროსის თანაშემწე დ. ი. ბაქრაძე და მაზრის სამმართველოს მოხელე ფანიაშვილი. ხალხი მოელოდა ჩვეულებრივ კაზაკ-რუსების ეგზეკუციას და წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა ამის მაგივრად დაინახა ქართულად ჩოხა ახალუხში გამოწყობილი თ-დი აფხაზი, რომელიც გულწრფელად, ძმურად მიესალმა ხალხს. აგრეთვე ქართულად და ტკბილად ელაპარაკა ბ-ნი ბაქრაძეც. საზოგადოდ მათმა ქცევა-მოპყრობამ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმ საღამოსვე მოხდა გომარეთის საზოგადოების ყრილობა. თ. აფხაზმა სთხოვა ხალხს გულახდილად გამოეთქვა თავისი საჭიროება და, თუ ვინმე არასასურველი პირი ურევია, გაედევნა კრებიდან. განდევნილ იქმნა ერთი ზემოხსენებული მოღალატე გლეხი. ხალხმა წარუდგინა იგივე მოთხოვნილებანი, რომელნიც აღნიშნული იყო გაზეთებში სხვა კუთხეების გლეხთა შესახებ, მხოლოდ უფრო დაწვრილებით აღნუსხა ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მამულებზე:

ჩვენ, დიდი-გომარეთისა, პატარა-გომარეთისა, მამულაანთ სოფლისა, ახისა და კაკლიანის მცხოვრებნი, დასახლებულნი სახაზინო მიწებზე, მოვითხოვთ, რომ ეს მიწები ფას-გადაუხდელად ჩვენ საკუთრებად დაგვიმტკიცდეს. ვინაიდან ამ სახაზინო მიწებიდგან თითო კომლს ძლივს თითო დესეტინა გვხვდება, იძულებულნი ვიყავით გვეხნა-გვეთესა სხვა გარშემო მდებარე მამულები, რომელნიც დროთა განმავლობაში გამოგვეცალა ხელიდგან და სასამართლოს გარდაწყვეტილების ძალით ჩაჰბარდა კერძო მემამულეთ. უამ-მიწებოდ ჩვენი არსებობა უთვალად შეუძლებელია, რის გამოც უნდა აგვეღო მებატონეთაგან შემავიწროებელის პირობებით რამდენისამე შეძლებულ პირის შუამავლობით, რომელნიც გვიორკეცებდნენ ამისათვის საიჯარო ფასს. ეს მამულები, რამდენიც გვეყოფა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უნდა მოგვეჩრას უფასოდ საკუთრებად და მემამულენი დაკმაყოფილებულ იქმნენ ხაზინისაგან, გინდ ფულით, გინდ მამულითვე.

გარდა ამისა, თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე დასახლების ნება მიეცეს საქართველოში მცხოვრებ მკვიდრთ და აიკრძალოს უცხო ტომის გადმოსახლება.

ტყეზე: სახაზინო ტყიდან (ხრამისა და დარბაზის აგარაკებში) უფასოდ შეგვეძლოს ვისარგებლოთ, საჭიროების კვალად, ხე-ტყით, ნეკერით, შეშით, ქვით, ბალახითა და წყლით. აგრეთვე განთავისუფლებულ ვიქმნეთ იმ გადასახადებისაგან, რომელიც ჩვენ წისქვილებზეა გაწერილი: 2% გადასახადი, ეგრედ წოდებული „სანაგუზლე“, და მირაბის ფული.

მღვდელზე: მოისპოს დრამა ე. ი. კოდი პური და ნახევარ კოდი ქერი კომლზედ გადასახადი და მის მაგივრად მღვდელს ხაზინიდან ჯამაგირი მიეცეს. დაწესდეს ჯვრის საწერი 4 მან., მიცვალებულის წინგასაძღოლი 1 მან. და ბავშვის მოსანათლი 20 კაპეიკი.

პოლიციაზედ: მოისპოს ეხლანდელ პოლიციის, სასამართლოს და საზოგადოდ მთავრობის მოხელეთა დანიშვნის წესი, რადგანაც ერთნი გვამათრახებენ და მეორენი გვატყავებენ, ამიტომ ჩვენი ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესების დაცვა ჩვენ მივანდეთ ჩვენს შორის არჩეულ კაცებს (ათისა და ასისთავებს). ჩვენ ვსტოვებთ დროებით მამასახლისს და სხვა მოხელეთ, რომელთაც დავალებული ექნებათ შეასრულონ ყოველივე დადგენილება ჩვენ მიერ არჩეულ კაცთა და მიწერ-მოწერის წარმოება მთავრობასთან, მხოლოდ ყოველივე მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება უნდა იქმნეს ქართულს ენაზე.

ხალხის მართვა-გამგეობის შესახებ მოთხოვნილება განმარტებულ იქმნა იმგვარად, რომ დაწესდეს საქართველოს მკვიდრთათვის სრული ავტონომია.

გ.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

12 აპრილი.

სიტიაზა, 12 აპრილი. თითქმის ყოველდღე პატარ პატარა შეტაკებანი, მოწინავე რაზმთა შორის სადგურ ჩანტუფუსთან, რომელსაც მტერი ამაგრებს. იაპონელები ჩვენს მზვერავებს ხელს უშლიან და რკინის გზის იქეთ არ უშვებენ. რამდენიმე პატარა ბრძოლა იყო მარჯვენა ფრთეზე, სოფ. ხეილიმუსა, ეილოპუსა და პაძიაძთან 31 მარტსა და 1 აპრილს. თოვს და წვიმს. გზები ფუჭდება.

ნიუ-იორკი, 12 აპრილი. გაზ. „ივენინგსენ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტანხოიდან: კვირას, დილის 10 საათზე, როდესაც საიგონიდან ნავით მივდიოდი კამრანის ნავთსადგურში, კამრანიდან სამხრეთით, 30 მილზე, დიდი გემები დავინახე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალნი. კორესპონდენტს გაურჩევია ჯავშნოსანი და კრეისერი. ჰფიქრობენ, რომ ეს რუსთა მესამე ესკადრაა, ადმ. ნებოგატოვისა.

შანჰაი, 11 აპრილი. („მორნინგ პოსტი“). გუშინ შუადღისას, სედელნის კუნძულების მახლობლად, მერგუის არხიპელაგთან, გაიარა იაპონელთა საავადმყოფო გემმა.

ტოკიო, 11 აპრილი. („დეილი ტელეგრაფი“). გუშინ ბატავიას მოვიდა რუსების საავადმყოფო გემი, როგორც ეტყობა, ნებოგატოვის მესამე ესკადრისა. ჰფიქრობენ, რუსები საავადმყოფო გემს დასაზვერავადაც ჰხმარობენო. რუსებმა სახელდახელოდ რკინის გზა გაიყვანეს ჩანჩუნ-გირინს შორის. ამ ადგილებში საწყობები და მაღაზიებია გამართული. კავალერიის პატარ-პატარა ბრძოლა ხშირია. იუწყებიან, რუსების 8,000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მდ. ტუმენის იქითა ნაპირს გადავიდა და ჩრდილოეთ კორეაში შევიდაო.

ვერხნეუდინსკი, 12 აპრილი. დაიწყო მოქმედება ბულგარელ ქალთა საზოგადოების საავადმყოფომ, რომელიც წინად გუნჯულინში მუშაობდა.

შანჰაი, 12 აპრილი. („დეილი მაილი“). სადარაჯო გემების რიცხვს მოუმატეს. ამ გემებმა უნდა უდარაჯონ ნავთსადგურში მყოფ რუსის გემებს. ჩინეთის 4 კრეისერს შესაფერი ინსტრუქციები მისცეს.

ჰონკონგი, 12 აპრილი. („დეილი მაილი“). ჩინეთის წყაროებიდან ირწმუნებიან, ხაინანში რუსეთის კრეისერები და სანახშირე გემები იმყოფებიანო. ბრიტანიის ჯავშნიანი გემები „გლორი“, „ცენტურიონი“ და კრეისერი „ხოგი“ და „ბონავანტიური“ აქედან გავიდნენ, მაგრამ არ იციან, სად წავიდნენ.

პეტერბურგი. 11 აპრილს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

გუნჯულინი. მთავარ-სარდლის ბრძანებით, კუაჩენძის ცენტრალურ საფოსტო კანტორაში არსდება ცნობათა შემკრები ბიურო, რომელსაც კარგად ეცოდინება, ბრძოლის ველზე ვინ რა ადგილას იმყოფება. დღემდე მშობლებისა და ნათესავების აურებელი წერილები იკარგებოდა, რადგანაც არ იცოდნენ ბრძოლის ველზე მყოფთა ადრესები, ახლა კი არც ერთი წერილი არ დაიკარგება და თავის დანიშნულებამდე უთუოდ მივა, რაიცა მეტად სასურველია.

ტოკიო, 11 აპრილი. ჰონკონგში ამტკიცებენ, რომ რუსთა მესამე ესკადრა ადმირალ ნებოგატოვისა 15 აპრილს შეუერთდება ადმირალ როჟესტვენსკის მეორე ესკადრასაო. რუსეთის გემები ხაინანს კარგა ხანს დარჩებიან. ხაინანის გუბერნატორმა აცნობა ჩინეთის მთავრობას, ბალტიის ესკადრა ხაინანთან ნახშირს უდებდაო. შიშობენ, მთავრობა ვერ მიიღებს საჭირო ღონისძიებას, რომ თავიდან აიცდინოს ნეიტრალიტეტის დარღვევაო.

სტამბოლი. მთავრობა ძალიან დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ კრიტოსელთა საერო კრებამ კრიტოსი საბერძნეთთან შეერთებულად გამოაცხადა.

ბომბეი. გაზეთების სიტყვით, ეხლა შუაგულს აზიაში რუსებს 200,000 ჯარის-კაცი ჰყავთ დაბანაკებული. რუსებს რომ მოენდომებინათ, ერთს კვირაში აიღებდნენ გერატს. ავღანისტანის მხედრობა თითქმის სრულიად უსარგებლო გამოდგა. რუსეთის-მიერ ორენბურგის რკინის გზის დამთავრებამ სრულიად შესცვალა საქმეთა მდგომარეობა. ინგლისს სწორედ ეხლა დაუდგა ისეთი დრო, რომ მუდამ თავს დასტრიალებდეს ინდოეთს და მფარველობა გაუწიოს, რომ ვერა სახელმწიფომ ვერ გაჰბედოს მისი შელახვა. ინგლისმა ყოველივე ღონე უნდა იღონოს და ინდოეთი დაიცვას.

ბათუმი, 12 აპრილი. ავაზაკთა ბრბომ ტელეფონი გადასჭრა და ქალაქის გამგეობის კასსას დაეცა. იქ მყოფი 50 მუშა ავაზაკებმა ერთს ოთახში ჩაჰკეტეს, მაგრამ ფულის გატაცება ვერ მოახერხეს და დარაჯის მისვლამდე გაიქცნენ.—მეორე მატარებელი მოვიდა. სამგზავრო მატარებლების ჩვეულებრივი მიმოსვლა იწყება.

ტფილისი. ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლა განახლდა. საბარგო მატარებლებიც დადიან, გარდა აქსტაფა-განჯა-აჯიქაბულის გზისა.

მინსკი. საბჭომ დაადგინა ხალხისა და ქონების დასაცველად ქალაქმა თავისი დარაჯები იყოლიოს, სთხოვოს გუბერნატორს უწესოების დროს ხალხის დასაცველად ღონისძიება მიიღოს და პოლიცია ქალაქის გამგეობას დაუმორჩილოს.

ზადონსკი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ქალაქი პოლიციის შენახვის ხარჯისაგან განთავისუფლოს, ქალაქის მილიცია დააარსონ და ცეცხლის მქრობელი რაზმი ქალაქს დაუმორჩილონ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი **იაკობ გოგებაშვილისა**. გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. **ფასი ერთი აბაზი.** მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაჰგზავნის გურიაში, იქაურ სახალხო ბიბლიოთეკების საუკეთესო წიგნებით შესავსებლად.

(5—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 апрѣля 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.